



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღს

№ 33

ა ვ მ ი ს ტ რ 4 1896 წ.

№ 33

შინადასი: ფოთის საეპარქო ნავსადგური და მისი ახალი ხანა.—სხვა-და-სხვა ამბავი.—საყურადღებო ამბები.—ვეფხ-
 აქლემი (ყარაფი).—ფშავლის ნაამბობი, ლექსი.—ფეპირ სიჯუკობა.—მცირე შენიშვნა.—ჩალდირი (დასასრული) ოტია ათაბა-
 გისა.—მატრაკვეცა (ნ. ვაგნერის მიხედვით) მ. მე-შენ-გელისა.—სარკე ამბავი—ფორფე ტეფისა (ინგლისურიდან), ინგლისელი
 ქალისა.—ყერძო განცხადებანი.—

ფოთის საეპარქო ნავსადგური და მისი ახალი ხანა.

მ დღეებში გამოსულ მთავრობის დაკანონე-
 ბათა და განკარგულებათა კრებულში დას-
 ტამებულია უმაღლესათ დამტკიცებული მი-
 ნისტრთა კომიტეტის დადგენილება, რომელიც მოხ-
 და იენისის 21 1896 წელსა, ფოთის ქალაქის სა-
 ვალდებულო სესხის აღების შესახებ, რომელიც
 უნდა მოხმარდეს ფოთისავე პორტის გაგანიერებას,
 ამასთანავე მინისტრთა კომიტეტის დადგენილებაში
 მოხსენებულია, რომ ამ გვართა გადაკეთებული და
 გაუმჯობესებული პორტი უნდა გადაეცეს ფოთის
 ქალაქის საზოგადო გამგეობას საწარმოებლათ და ქა-
 ლაქის საკეთილდღეობათ. მას შემდეგ, რაც ფოთის
 პორტის საქმე მისმა უწინდელმა ამშენებლებმა და დე-
 დინაცკლებმა, რომელთა შორის ბ. შაეროვს თვალსა-
 ჩინო ადგილი უჭირავს, იმდენთა გააუტყეს ღ შეაყენეს,
 რომ აღარ იყო არავითარი სახსარი, არ იცოდნენ, ფოთის
 პორტს როდის ელირსებოდა ოდესმე სალათას ძილიდან
 გამოორკვევა და გამოფინილება. წინათ თვით ფოთის
 ქალაქის გამგეობამ ბევრჯერ იშუამდგომლა, რომ
 რამე ღონისძიებით მთავრობას კეთილენება და ფო-

თის პორტის გაუმჯობესობა ეცისრა; მაგრამ მთავრო-
 ბა ისეთი ცუდი თვალთ უყურებდა ფოთის პორ-
 ტის საქმეს, საცა ამდენი მილიონები ზღვის ჯურღ-
 მულში ჩალუბეს გენიოს ინჟინერებმა და პორტი მა-
 ინც ვერ გააკეთეს, რომ 1892 წელს ფოთის გამგე-
 ობას სამინისტროდან მეტათ ცივი უარი შემოაუთვა-
 ლეს: ფინანსის მინისტრმა განაცხადა, შეუძლებე-
 ლია, რომ ფოთის პორტის გასაუმჯობესებლათ მთა-
 ერობამ ნება მისცეს, ხაზინიდან რამე ფული გაიტა-
 ნონო. ასეთს უნუგეშო მდგომარეობაში იყო ფოთის
 პორტის საქმე, როცა 1894 წლის გასულს ფოთის
 ახალი ქალაქის საბჭო ამოიჩინა და ამან ქალაქის თა-
 ვათ ბატ. ნ. ი. ნიკოლაძეს მოუწოდა.

ახალ ამორჩეულმა ქალაქის საბჭომ და მისმა
 თავმა მიიღეს ფოთის ქალაქის საქმეები ფრიად უნუ-
 გეშო მდგომარეობაში. ფოთის პორტის საქმეს საუ-
 კუნათ მიძინებოდა და უამისოთ ქალაქის წარმატე-
 ბა შეუძლებელი იყო. ახალმა საბჭომ ამ გარემოებას
 დიდი ყურადღება მიაქცია და გადაწყვიტა, ყოველი
 თავისი ღონისძიებით შეესწავლა ეს საქმე და დაწე-
 რილებით მოსაზრებული და ყოველ მხრით აწონილ-
 დაწონილი მოხსენება წარედგინა მთავრობისათვის

ფოთის პორტის გასაუმჯობესებლათ. ფოთის ახალი ქალაქის თავი და მისი საბჭო ღრმად დაჯერებული იყო, რომ თუ ფოთის გამგეობა პრაქტიკულად მოსაზრებულს საქმეს წინ წაიძღვრებოდა და მთავრობას პირში არ მიახლიდა, უსათუოდ ხაზინიდან მოგვეცი თ ფულიო, როგორც ინჟინერები შერებოდენ, არამედ უჩვენებდა ახალ წყაროს, თვითონ ფოთის ქალაქის მიერ მოპოვებულ ფულის სახსარს თავისივე პორტის გასაუმჯობესებლათ, მაშინ იმედი იყო, რომ მთავრობა შეიგნებდა სახელმწიფო სარგებლობას და ისევე გული მოუბრუნდებოდა ფოთის პორტზე. ამ ხერხის გამოძებნა და ბინდით გარემოცული ფოთის პორტის საქმის სინათლეში გამოტანა სავსებით უნდა მიეწეროს ფოთის ახალ თავს ბ-ნ ნ. ნიკოლაძეს, რომელმაც მართლა ამ საქმეში გამოიჩინა ჩვეულებრივი შორსგამჭერეტილობა და მისგან მოულოდნელი პრაქტიკული საქმიანობაც.

პირველი ნაბიჯი თავის შესანიშნავი მოქმედებისა ახალმა ქალაქის თავმა გადადგა მოხსენებით საბჭოსადმი, რომელსაც ურჩია, დეადგინოთ კამისია და მიეანდოთ მას, რომ ახალი საფუძველი შემოეშალოს მან მთავრობის გულის მოსაგებათო. ფოთის საბჭო დათანხმდა მის წინადადებაზე და ახალ კამისიის თავმჯდომარეთ გახდა თვით ფოთის ქალაქის თავი, ხოლო კამისიის წევრებათ იყვენ ფოთის ხმოსნები: დ. კ. გლინკა ფოთის და ბათუმის პორტების კონტროლოერი, გ. ნ. დიღია, ადგილობრივი მებატონე და მსხვილი აღებმცემების კაცი, თ. მ. ლენინიკი საზღვო შკოლის უფროსი, მენდელი, ხ. ხუმარაძე და რუისის სანაოსნო საზოგადოების აგენტი შესტერიკოვი აი, ამ კამისიამ შეიმუშავა ის შესანიშნავი მოხსენება, რომელმაც სამინისტრო დაარწმუნა, რომ თვითონ ფოთის ქალაქს აქვს პორტის გასაგანაირებელი და გასაუმჯობესებელი საშუალებაო, ოღონდ შინაგან საქმეთა მინისტრმა და საფინანსო მინისტრმა დასტური დაეცეს, ფოთის საშუალება ამ საქმეს მოეხმარათ და გავეიწყოს ხელი, იმდენი სესხი ავეაღებინოს, რომ მისი სარგებელი და თავნი ხანგრძლივით ფოთის საპორტო შემოსავალმა იხადოს და ბოლოს გაისტუმროსო.

კამისია ჩაუკვირდა საქმეს და გამოიკვლია შემდეგი: თუმცა ბათუმის ქალაქის მომხრეებმა და კავკასიის რკინის გზის უფროსობამ მეტოქობით იმდენი ეცადენ, რომ მომეტებული სავაჭრო საქონელი ბათუმისკენ მიმართეს, ფოთი დაამკირეს, მაგრამ თვით ფოთის მღებარეობა აღებმცემობისათვის და ადგილის სიფართოვით მაინც იმდენათ სასარგებლო იყო, რომ სავაჭრო საქონლის გატანამ ფოთის პორტში მაინც თანდათან იმატა.

ფოთის პორტს ბათუმის მიკერძებით ისე გაუტეხეს სახელი, განსაკუთრებით რუსეთის სანაოსნო საზოგადოების გემების კაპიტნებმა, რომელნიც ბათუმის გულისთვის განზრახ არ ჩერდებოდენ ფოთში, რომ ბოლოს მთავრობაც დააჯერეს ფოთის პორტის უვარგისობაზე: ისინი გაიძახოდენ, შეუძლებელია ფოთის პორტში გემის შეყვანა, როცა ოდნავაც არის, შავ ზღვაზე ღელვა ატყდებაო. ყველაზე პირველათ ფოთის საპორტო კომისია შეუდგა ამ ცილის წამების დარღვევას და თვალ-საჩინო საბუთებით დაამტკიცა, რომ ფოთის პორტში კიდევ შედიან დიდი უცხო ქვეყნის ხომალდები და არც ანკითარი დაბრკოლება იმათ არა აქვს იმაზე მეტი, რაც წინ ეღობებთან თვით საუკეთესო ევროპის პორტებს, როგორც მაგალითათ მარსელის პორტს, ანტვერპენისას და ჰამბურგისას.

კომისიამ ფოთის კარანტინის ცნობებიდან მოიყვანა საბუთები, რომ უცხო ქვეყნის გემები, რომელნიც თითქმის ერთი-ორათ უდიდესნი არიან რუსეთის სანაოსნო საზოგადოებას გემებზე, როგორც მაგალითათ გემები „ლორდ-ჩარლმანტი“, „ზალეა“, „ბოტალი“ და სხვები დიდი ზღვის ღელვის დროსაც თავისუფლათ შესულან ხოლომე ფოთის პორტში; მიზეზი ფოთის პორტის ნაკლულევენებისა ამაში კი არ ყოფილა, არამედ იმაში, რომ სიეწროვის გამო მისადგომი ადგილი პორტის შიგნით ევროპისა და ამის გამო გემები ათ-ათი დღეობით და სამ კვირარაობით გაჩერებულან ხოლომე. აქედან კამისიამ ცხადათ დაამტკიცა, რომ საქმე იმაში კი არ ყოფილა, ვითომ ფოთის პორტში შესვლა არ ხერხდებოდეს. არა. ამ მხრით პორტს არა უშავს-რა; საქმე იმაშია, რომ თვითონ პორტია პატარა და დიდ გემებს შიგ პორტში მისადგომი ალაგი აღარ ურჩებათ. ეს გარემოება იმსაც ამტკიცებს, რომ დასატერითი საქონელი პორტში ბევრია, მაგრამ თავისუფალი ადგილი კი აღარ არის გემის მისადგომათ, ესე იგი პორტში შესული გემები აღარ ეტყვიან. თუ რამდენათ გაზდილა თანდათან სავაჭრო საქონლის მიტანა ფოთის პორტში, ამის დასამტკიცებლათ კამისიამ წარმოადგინა ფოთის კარანტინიდან ახალი უტყუარი ცნობები. აი, მაგალითათ 1888 წელს ფოთის პორტში შემოტანილა და გატანილა სავაჭრო საქონელი ცამეტ მილიონ ფუთამდე, ხოლო 1894 წელს ოცდაოთხ მილიონ ნახევრამდე, ასე რომ ექვსი წლის განმავლობაში შემოტანილ-გატანილი საქონლის რაოდენობა თითქმის ერთი-ორათ გაზდილა და ეს ამტკიცებს მიუცილებლათ იმას, რომ ცოთის მნიშვნელობა მომავლისთვის დიღია და, რაც უნდა ეცადონ მისი გადამტერებულნი მოწინააღმდეგენი მის

ხელის შეშლას და დაცემას, ვერ მოახერხებენ. ყოველივე ეს საბუთები ცხადათ ამტკიცებენ, რომ ფოთის პორტი დღესაც დიდ სააღებმიცემო მუშაობას ასრულებს და, თუ გაგანიერდა, მაშინ ხომ იმას კავკასიის მხარეზე ვერც ერთი პორტი ვერ აჯობებს, რადგან ფოთისკენ უფრო მოკლე გზა აქვს გასაღწეული საქონელს. მაშასადამე იქითკენ საქონლის წადება უფრო იაფათ დაჯდება და ამას გარდა თვითონ ფოთის ქალაქიც გაშლილ ადგილზე დგას და საქონლის განიერი დეპოების გამართვა აქ უფრო მოხერხებულია, ვიდრე სხვაგან. ასეთი მოსაზრება წინ წაიძღვანა ფოთის საპორტო კამისიამ და წარუდგინა უმაღლეს მთავრობას თავისი მოსაზრება, რომ ფოთის ქალაქი თვითონ თავის საშუალებითაც გააგანიერებოს პორტს, ამაში ხაზინისაგან დახმარება ფოთს არ ესაჭიროებოდა, ოღონდ მთავრობა დათანხმდეს, რომ ფოთის ქალაქმა საჭირო სესხი აიღოს პორტის გასაგანიერებლათ და ყოველ წლიური საპორტო შემოსავალი ფული ამ სესხის გასასტუმრებლათ გადადგასო. ახლა უნდა შევიტყოთ, საიდან წარმოდგა ფოთის საპორტო შემოსავალი?

ფოთის პორტის მოსაწყობათ მთავრობამ უმაღლესათ გამოსცა ბძანება 1887 წელს მაისის 19-ს, რომ შემოტანილ-გატანილი საქონლის თითო ფუთზე აიღონ ნახევარი კაპეიკი და აქედან მოგროვილი ფული ფოთის პორტის მოწყობას მოახმარონო. ამნაირათ გროვდებოდა დღემდის ფული ხაზინაში და ახლა თითქმის ნახევარ მილიონამდე უწყევს. ყოველ წლივით ეს შემოსავალი მატულობს იმისდა შესაფერათ, როგორც მატულობს გასაზიდავი საქონლის რაოდენობა. აი, მაგალითათ, საპორტო ფული 1591 წელს შემოსულა ორმოცდა ხუთი ათას მანეთზე მეტი, ხოლო 1895 წელს სამოცდა რვა ათასამდე ასულა. ცხადია, რომ თუ ასე იმატა, მალე გორაკეცდება და გასამკეცდება ეს შემოსავალი. მართლაც მთავრობა დარწმუნდა, რომ ამისთანა შემოსავალი ორ მილიონის სესხსაც ადვილათ უზრუნველ ჰყოფს, მაგრამ მთავრობამ მიინც თავის თავდარიგი იხმარა და ნება დართო ფოთის ქალაქის საბჭოს ჯერ-ჯერობით მხოლოთ ერთ მილიონ ოთხასი ათასი მანეთის სესხზე.

ამასთანავე კამისიამ წარუდგინა მთავრობას თვითონ პორტის გასაგანიერებელი გეგმა, შქმუშა-


ვებული ფოთის პორტის ინჟინრის მეიერის მიერ, რომლიდანაც ჩანს, რომ მისი წარდგენილი სმეტით შეიძლება ამოითხაროსო ისეთი განიერი შინაგანი ორმო, რომელიც უნდა მიემატოს ფოთის პორტს გათხრილი არხის შემწეობით, რომ მარტო ამ ორმოში მოთავსდეს ორმოცდა ათი მილიონი ფუთი საქონლის დატვირთვა. ორმოს ექნება სიღრმე ოცდა ექვსი ფუთი და ეს ორმო გადაიქცევა ახალ ზღვის ტბათ, რომელშიაც შევლენ დიდი გემები და ოცდა ოთხ ფუტამდე შიგ ისხდებიანო. მეიერის აზრით მთელი ეს ახალი პორტის გასაგანიერებელი მუშაობა ეღირება ერთ მილიონათ და ექვსას ოთხმოც და თუთხმეტ ათას მანეთათო. ფოთის ქალაქის გამგეობას დღესაც აქვს მთავრობის ნებართვა თითქმის მთელი ამდენი სესხის აღებაზე.

მაგრამ მარტო ასეთი მოღვაწეობით კიდევ არ განისაზღვრება ფოთის ქალაქის თავის და მისი საბჭოს დამსახურება დღევანდელი კავკასიის აღებ-მიცემობისათვის. ამაზე უფრო დიდ ღვაწლათ ის უნდა ჩათვალოს ფოთის ქალაქის გამგეს და მის საბჭოს, რომ მათმა მეცადინეობამ მთავრობა დააჯერა: ბევრათ უფრო სასარგებლო იქნებაო ქვეყნისთვის და სახელმწიფოსთვისაც, რომ ეს პორტის გამკეობისა და მისი გასაგანიერებელი მუშაობის საქმეები პირდაპირ ფოთის საქალაქო გამგეობას ჩაბარდეს და მარტო ის იყოს ამ საქმეების ყურის მგდებელიო:

აქამომდე უმაღლეს მთავრობას ასეთი საქმეების მართვა მხოლოთ თავის მოვალეობათ მიაჩნდა და ადვილათ არ ანებებდა ადგილობრივ ეროვნულ დაწესებულებათა; ამისთანა საქმეებს აქამომდე განაგებდენ ან მთავრობის უმაღლესნი მოხელენი, ანუ რომელიმე მთავრობისავე დაწესებულება. კავკასიის რკინის გზის გამგეობასაც ამ მოსაზრებით გამოეპარა თვალები და თვითონ უნდოდა ხელში ჩაიკლათ ფოთის პორტი და მისი წარმოება. მაგრამ ფოთის ქალაქის საბჭომ და მისმა თავმა აქაც გონიერი საბუთებით და საუკეთესო უცხო ქვეყნის პორტების მაგალითებით დააჯერეს მინისტრებს კამიტეტი, რომ თვითონ ფოთის ქალაქის გამგეობა, როგორც ნამდვილი პატრონი საქმისა და ხარჯის გამღები, უფრო ერთგულათ და გულშემმატკიერათ წაიყვანდა ფოთის პორტის წარმოებას, ვიდრე გარეშე პირი და თუნდ მთელი დაწესებულებაც, რომელნიც მხოლოთ ფორ-

მალურათ მოექცეოდნენ ასეთს საქმეს და უფრო საკუთარი სარგებლობის მიხედვით იმოქმედებდნენ, ვიდრე ნამდვილი ქირისუფალი. ეს დიდი მავალითია, რომ ასეთ თვით-მოქმედებაზე მთავრობა დაყაბულდა და მარტო ფოთისთვის კი არა აქვს დიდი მნიშვნელობა მთავრობის მიერ ასეთს დადგენილებას. ის არის დიდი ნაბიჯის წინ წადგმა არამც თუ ფოთის პორტის შესახებ, არამედ მთელი პორტებისა და სანაოსნო-საეკაჯრო საქმეების შესახებაც.

ვისურვებთ მხოლოდ, რომ ფოთის საქალაქო გამგეობამ ღირსეულათ გაამართლოს მთავრობის ნდობა და კავკასიის საერო თვითმოქმედებას ფოთის მაგალითით ახალი ხანა დადგამოდეს.



სხვა-და-სხვა ამბავი.

ართლ-კახეთის თავად-აზნაურობის საგანგებო კრება. 28 იელისს, როგორც გამოცხადებულ იყო, მოხდა საგანგებო კრება ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობისა ქ. თბილისში. კრებას თავმჯდომარეობდა თავ. დ. ს. მაყაშვილი, თელავის მაზრის მარშალი. კრების საგანს შეადგენდა იმის გამორკვევა, აიღოს თუ არა ხსენებულმა თავად-აზნაურობამ კახეთის რკინის გზის გაკეთების საქმე. რადგანაც ეს კითხვა აღძრული იყო ჯერ კიდევ 1892 წ. და ამის შესახებ მაშინ კიდევაც შეკრიბეს სხვა-და-სხვა ცნობები, ამიტომ კრებამ მოინდომა ამის გაცნობა; მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველა ეს ცნობები ამ ქამათ კერძო პირებს ჩაეარნათ ხელში. შემდეგ ამისა თ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილმა განმარტა, რომ, რადგანაც კახეთის რკინის გზის გაკეთება ძლიერ საქირთაა, რომ რაც შეიძლება ადრე მოხდეს, ამიტომ სასურველი არ არის, რომ თავად-აზნაურობამ ეს საქმე თავის ხელ-ახალი თხოვნით შეაფერხოს. ის იმ აზრის არის, რომ თავად-აზნაურობამ, როგორც წოდებამ, დაანებოს ამ საქმეს თავი, და ამისათვის კერძო კამპანია შედგეს, რომელშიაც ყველას შეეძლება შესვლა. უმეტესობა ამ აზრის წინააღმდეგი იყო, და იმათ შორის მეთაურობდა თ. ი. გ. ჭავჭავაძე, რომელსაც წინდაწინვე შეედგინა კრების დადგინების პროექტი. ეს დადგინება იმაში მდგომარეობდა, რომ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობა, ხედავს რა კახეთის რკინის გზის გაკეთების საქმეს ძლიერ სასარგებლოთ თავის ინტერესებისათვის, აახლებს თავის შუამდგომლობას, სადაც ჯერ-არს, რათა ხსენებულ თავად-აზნაურობას მიეცეს ამ გზის კეთების ნება, რისთვის-

საც, ის არ ითხოვს მართებლობიდან არავითარ შემწრობას; ამისათვის არჩიეს კომისია, გუბერნიის მარშლის თავმჯდომარეობით, შემდეგი პირებისაგან: თ. ი. გ. ამილახვარის, თ. ა. ი. ბაგრატიონ-მუსხრანსკის, თ. ი. გ. ჭავჭავაძის, თ. დ. ი. ავალიშვილის და თ. ს. რ. ვახვახიშვილისაგან. ზოგიერთები არ დაეთანხმენ ამ დადგენილებას. ამ დადგენილების ძალით თავ. მაყაშვილმა გზათა მინისტრს ტელეგრამით აცნობა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის სურვილი კახეთის რკინის გზის გაკეთების შესახებ. ამით გათავდა ეს საგანგებო კრება.

ათასგვარ ფიქრს გვერის ჩვენ ეს განზრახვა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობისა. რომ კახეთის რკინის გზა ძლიერ საქირთა და სასარგებლო იქნება, ამაზე ჩვენ არ ელაპარაკობთ. მაგრამ, როცა ამ საქმეს კიდებს ხელს თავად-აზნაურობა, როგორც წოდება, ეს გარემოება ჩვენ მაშინ სულ სხვანაირათ გვეჩვენება. ამის საბუთიც ჩვენ ბევრი გვაქვს, მით უმეტეს, რომ რკინის გზასა და საადგილ-მამულო ბანკს შორის დიდი განსხვავებაა. ჩვენ სრულგვით იმ აზრ-ს არა ვართ, რომ თავად-აზნაურობამ არ უნდა აიღოს კახეთის რკინის გზის კონცესია, თუ ის სხვაზე უკეთესათ შეასრულებს ამ საქმეს, არც ის ვიცით დარწმუნებით, ნება ეძლევა თუ არა თავად-აზნაურობას, როგორც წოდებას, ამ გვარ საქმეებს ხელი მოკიდოს, თუმცა-ლა ამასთანავე ვერც თ. ი. გ. ჭავჭავაძის შემდეგ სიტყვებს დაეთანხმებით: „რაც აკრძალული არ არის, ის ნება-დართულია“,—ამგვარი მსჯელობა მეტი-მეტი სოფისტურია, რასაც, სამწუხაროთ, დიდი ხანია დაეჩვია თავ. ჭავჭავაძე. ჩვენ იმას ვამბობთ, რომ როცა თავად-აზნაურობა ამ გვარ საქმეებში ერევა, იმ შემთხვევაში ის მოქმედებს, არა როგორც თავად-აზნაურობა, არამედ როგორც კაპიტალის წარმომადგენელი კლასი; ძველი კასტაჟი განი აქ სრულგვით არაფერ შუაშია. მეორე მხრით, აი, რა გარემოება გვაფუძკრებს ჩვენ ყველაზე უფრო. კახეთის რკინის გზა ბევრ თფილ ადგილს გაუჩენს მცხოვრებთ. ამ მხრით საადგილ-მამულო ბანკი იმას ვერც კი შეედრება. ახლა ვიკითხოთ, დიციავს ქართლ-კახეთის თავად აზნაურობა თავის ღირსებას ამ მხრით? გვაქვს, თუ არა, ჩვენ საბუთი, ეჭვი შევიტანოთ ამაში?

ჩვენ კი მაინც ვისურვებთ, ვინიცობაა თუ ნება დართეს, რომ ქართლ-კახეთის თავად აზნაურობა ღირსეულათ გაძლოლოდეს წინ ამ საქმეს.

* *

ასალი გუბერნიის „კვალის“ № 32-ში მოხსენიებული იყო, რომ შავი ზღვის საოლქო გადაკეთდა გუბერნიით და მიეწერა ამიერ-კავკასიის მმართველო-

ბას. ამ ქამათ უკვე გამოქვეყნებულია დებულება ამ ახალი გუბერნიის ადმინისტრატულ დაწესებულებათა შესახებ და აგრეთვე სასამართლო ნაწილის მოწყობაზე.

ადმინისტრატულ დაწესებულებანი ახალი შავი ზღვის პირის გუბერნიისა საზოგადოთ იგივეა, რაც ამიერ-კავკასიის გუბერნიებში, გარდა რამდენიმე განსაკუთრებით დადგინებათა. დავასახელოთ უმთავრესი იმათ შორის: 1) გუბერნიის მმართველობას შეადგენს გუბერნატორი, საერთო გამგეობა, გუბერნატორის კაცელარია და სხვ. 2) საერთო გამგეობას, გუბერნატორის თავმჯდომარეობით, შეადგენენ: გუბერნატორის თანაშემწე, სამიწათ-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წარმომადგენელი, საბრალმდებელი ნაწილის წარმომადგენელი, გუბერნატორის კანცელარიის მმართველი, საბერა ინსპექტორი, გუბერნიის ინჟინერი, გუბერნიის სასკურნალო ინსპექტორი, გუბერნიის ბეითალი და გუბერნიის მიწის მშომელი. გარდა ამისა, საერთო გამგეობის სხდომებზე მონაწილეობას ღებულობენ, როგორც წვერნი: ქალაქის საქმეების შესახებ—ქალაქის თავი და ერთი ხმოსანი ქალაქის საბჭოდან; სამხედრო ბეგრის შესახებ—სამხედრო უწყების წარმომადგენელი, სამოსამართლო საქმეების შესახებ—სამოსამართლო უწყების წარმომადგენელი და სხვ. 3) დაწესებულია ახალი თანამდებობა, რათა შავი ზღვის პირის გუბერნიის დასახლებას ხელი შეუწყოს.

შავი ზღვის პირის გუბერნია განიყოფება სამ ნაწილათ ანუ ოლქათ: ნოვოროსიის, თუაფსის და სოჭის; მმართველობა თითოეულ მათგანისა მიენდობა ოლქის უფროსს, იმ საფუძვლით, რომელიც ნაჩვენებია კავკასიის მმართველობის წესდების 126, 127 და 195 მუხლებში. რაც შეეხება სასოფლო მმართველობას, ის ისე იქნება მოწყობილი, როგორც საზოგადოთ ამიერ-კავკასიაში, იმ განსხვავებით, რომ სოფლებში, სადაც რუსები ორ-მესამედზე ნაკლები იქნებიან მცხოვრებთა საერთო რიცხვისა, თითონ გუბერნატორი დანიშნავს მამასახლისებს. ამნაირათ, შავი ზღვის პირის გუბერნია, ერთი მხრით, თავისი საერთო გამგეობით წარმომადგენს ადმინისტრაციულათ იმ ტიპის გუბერნიას, რომლის შემუშავება უმაღლესი ბრძანებით 1895 წ. 1 იენის მიენდო შინაგან საქმეთა მინისტრს და რომლის წესდება საცდელათ შემოღებულია ამ ქამათ შავი ზღვის პირის გუბერნიაში; მეორე მხრით, ეს გუბერნია, როგორც ამიერ-კავკასიის ყველა გუბერნიები, მოკლებულია ერობათა დაწესებულებას.

სასამართლოს მხრით შავი ზღვის პირის გუბერნია ექვემდებარება ეკატერინოდარის საოლქო სასამართ-

ლოს და თბილისის სასამართლო პალატას; ამას გარდა არსდება ოთხი თანამდებობა სამაზრო მომრიგებელ მსაჯულთა. უკანასკნელნი თავის ღროზე ასრულებენ გამოძიებლის თანამდებობასაც. ეს დებულება სისრულეში უნდა შევიდეს ამა 1896 წ. პირველ სექტემბრიდან.

* *

„ჯეჯილის“ მიღება სამინისტრო შკოლვაში. კავკასიის ოლქის სამოსწავლო სამზრუნველო რჩევამ განიხილა რა ან. წერეთლის რედაქტორობით გამოცემული საყმაწვილო ნახატებიანი ქართული ჟურნალი „ჯეჯილი“, გამოცემული 1891 და 1892 წლებისა, დაადგინა: 1891 წლის „ჯეჯილი“ მიღებულ იქმნას შკოლის საყმაწვილო ბიბლიოთეკებში საკითხავათ ქართველ მოწაუეთაივის, ხოლო „ჯეჯილი“ 1892 წლის გამოცემა ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკებში დაბალ და საშუალო სასწავლებლებში.

* *

გუშინ 2 აგვისტოს ცეცხლი მოეკიდა დ. ზ. სარაჯიშვილის სპირტის ქარხანის საწყობს. ამბობენ მებატრონეს დიდი ზარალი მოუვიდაო.

* *

გამოვიდა ამ წლის მეშვიდე ნომერი „ჯეჯილისა“, იელისის თვისა და დაურვიდა ხელის მომწერლებს.

* *

სოფ. ჭყვიშიდან (ლენჩხუმის მაზ.) გეწერენ: 27 იელისს აქ მეტათ საშინელი ამბავი მოხდა. უეცრათ გაწყდა მთელი ოჯახობა ყარამან ყიუიანისა. ეს ასე მოხდა: ყარამანის ბიჭი კალოს ასწორებდა და ასუფთავებდა, რადგან დღე-დღეზე პურის ღეწვისთვის უნდა მიეყოთ ხელი; კალოს მახლობლათ ჭრიდა მიწას და ასწორებდა ოღრო-ჩოღრო ადგილს. იქ, საცა მიწა იჭრებოდა, ისხდენ ცალი ყარამანისა ორი ბავშვით და ყარამანის მამიდაშვილი—ახალგაზდა ქალი. უეცრათ, გამოჭრილი მიწა ჩამოეშვა ზევიდან და ქვეშ მოიმწყვდია საბრალლო ოთხი სული. ბიჭმა ყვირილი მორთო: მეზობლებმა მოიბრინეს და საჩქაროთ გადათხარეს მიწა; მაგრამ გვიანდა იყო: ყველანი დახოცილიყვენ.

* *

შარშან „კეალის“ რედაქციამ მიიღო 60 მან. ბ. გაგუა და ე. მასხულისასგან; ეს ფული გადაეცა ზ. ჭიჭინაძეს ცაისში უფასოთ დასარიგებელ წიგნების დასტამბისათვის. ბ. ზ. ჭიჭინაძეს დაუსტამბავს შემდეგი წიგნები:

1) ქართული ლოცვები 5000 ცალი.

2) წამება წმიდისა ქეთევან დედოფლისა, თქმული დიმიტრი ბაგრატიონის მიერ სურათით 4000 ცალი. და 3) „რუხის ბრძოლა“, თქმული გრიგოლ დადიანის მიერ სურათით 4000 ცალი. ყველა წიგნაკს თავში ქართული ანბანი აქვს მოთავსებული.

დღეს ამ წიგნაკების 8000 ცალი იგზავნება უფასოთ დასარიგებლათ სამეგრელოში, სვანეთში, აფხაზეთში, ჯავახეთში და თერგის მხრისკენ, სადაც ქართველი სოფლებია.

წიგნების გამოცემას 60 მან. არ ეყო და გამომცემელს საკმარისი ვალი დაეღვა.

* *

ჩვენ მივიღეთ სომხურ ენაზე ახლათ დაბეჭდილი წიგნი „ვეფხისტყაოსანი“ შოთა რუსთაველისა, პრაზათ ნათარგმნი ბ. არუთინ მიჩიშინიანისა. წიგნს 78 გვერდი აქვს და ღირს 15 კაპ. დასტამბულია სუფთათ და შიგ მოთავსებულია ორი სურათი: ერთი შოთა რუსთაველისა და მეორე ქაჯეთის ციხე და ციხის კარზე მისული გმირები.


შემოკლებულ თარგმანს წინ მიუძღვის ბიოგრაფიული ცნობები შოთა რუსთაველზე და „ვეფხისტყაოსანის“ შესახებ; ბიოგრაფიის დამწერს მასხალათ ქართული წიგნები უხმარია, მაგ.: პ. იოსელიანის, გ. იოსელიანის, ან. ფურცელაძის და ზ. ჭიჭინაძის. ავტორი წერს, რომ შოთა რუსთაველს ბერათ აღკვეცის შემდეგ შიო ეწოდაო. თარგმანი სადა არის და საკითხავათ ლაზათიანია, ყველასთვის გასაგები. ეს წიგნი ძალიან წააგავს გ. იოსელიანის შემოკლებულ მოთხრობას, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინეთ „ჯეჯილის“ რედაქციამ გამოოსცა.

* *

ქუ-გუნდის წარმოება. იენისის თვის განმავლობაში ბათუმიდან გაუტანიათ გერმანიაში 18,000 ფუთი ქუ-გუნდისა 5,400 მანეთათ ღირებული; ფოთიდან: დიდ-ბრიტანიაში—272,900 ფუთი 81,870 მანეთათ ღირებული, ჰოლანდიაში—566,680 ფუთი 170,004 მანეთის, რუსეთში—210,000 ფუთი, საფრანგეთში—263,500 ფუთი 79,050 მანეთის. სულ

ფოთიდან ამ ერთი თვის განმავლობაში გაუტანიათ 1.313,080 ფუთი 393,924 მანეთათ ღირებული. ორთა შუა რიცხვით მადნის ფუთი ღირს 30 კაპ.

ამ წლის პირველი იანვრიდან პირველ იენისამდე ბათუმიდან გაუტანიათ გერმანიაში 49,600 ფუთი 14,880 მანეთათ ღირებული; ფოთიდან—დიდ-ბრიტანიაში 2.001,025 ფუთი 600,307 მანეთის, გერმანიაში—154,340 ფუთი 46,302 მანეთის, ჰოლანდიაში 1.217,360 ფუთი 365,208 მანეთის, რუსეთში 540,766 ფუთი 162,229 მანეთისა, საფრანგეთში 335,100 ფუთი 100,530 მანეთის. სულ გაუტანიათ ამიერ-კავკასიიდან პირველ იენისამდე 4.298,191 ფუთი 1.289,457 მანეთის. (Кавказъ).



საყურადღებო ამბები.



ორჯოში. რომ რკინის გზის სიახლოვეზე არის დამოკიდებული ყოველივე ადგილის წარმატება, ეს ვარემოება სხვათა შორის ბორჯომის მაგალითიდანაც ჩანს. თუ შევედარეთ, აბასთუმნის მდებარეობა და ჰავა ბორჯომისას, ნათლათ დერწმუნდებით, რომ აბასთუმანი ამ მხრით ბევრათ უმჯობესია ბორჯომზე; პირველი ბევრათ უფრო მაღლობ ადგილზე არის ფიჭვის ტყეში გაშენებული და რამდენათაც მაღლობი ადგილია, ხომ მით უფრო წმინდა და მარგებელი ჰავაა. მარა, ამის მიუხედავათ დღეს ბორჯომი პატარა ქალაქს მოგაგონებთ თავისი სხვა-და-სხვა გვარი შენობებით, დუქნებით, ბაზრებით და სასტუმროებით და ყველა ეს შენობები საესეა ხალხით, ნამეტნავათ წელს. როგორც ეტყობა აქ საზოგადოლოთ ბევრი ხალხი მოსულა, როგორც ახლო-მანლო ქალაქებიდან, აგრეთვე უცხო ქვეყნებიდანაც, მაშინ როცა აბასთუმანში ამის მეოცედიც კი არ არის. ასეთი განსხვავების მიზეზი რკინის გზაა, რომელიც მხოლოთ ბორჯომამდის მიდის. აბასთუმანი კი 73 ვერსითა მოშორებული რკინის გზიდან. ამის გამო მისელა-მოსელა აბასთუმნამდის ძლიერ ძვირათ ჯდება და ამასთანავე უხერხულიცაა, ვინემ ბორჯომამდის. სხვა სააკარაკო ადგილებს, მაგ., პიატიგორსკს და კისლოვოდსკს, ბორჯომი ბევრათ ჯობს თავისი მდებარეობით და მოწყობილობით; სხვათა შორის აქაური სასიერო ბაღი ღამ-ღამობით ისეა განათებული ელექტრონით, რომ კაცს ადვილათ შეუძლია ტყეში ღამე წიგნის კითხვა.

აქ თითქმის ყოველ ღამე იმართება წარმოდგ-

გენები და ხან კონცერტები. სხვათა შორის, 26-ს იელისს აქ გამართეს ქართული წარმოდგენა; ითამაშეს „შეშლილი“ და ვოდვეილი „გულმა იგრძნო“. წარმოდგენა გამართულიყო ერთი სტუდენტის სასარგებლოთ. მონაწილეობას ღებულობდნენ ქ-ნ საფაროვისა, მესხისა და თამარისა; ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, გუნიო, გედევანოვი და მჭედლისშვილი ესენი ყველა კარგათ თამაშობდნენ.

შაქტო ი. ვანსაქ.

* * *

ფოთი. 22 იელისს ფოთის საზოგადოებამ ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლეს ბ. მრეელი-შვილს გაუმართა 25 წლის მსაჯულის თანამდებობაზე სამსახურის გამო ნადიმი, რაშიც დანიხარჯა არა ნაკლებ 600 მანეთისა; ამ ნადიმისთვის მოთავე პირებს განზრახვა ჰქონიათ მიეცათ იუბილეს ხასიათი, მაგრამ ეს ნადიმი ჩვეულებრივი მოლხენის და მასლაათის მეტს ვერას მოგაგონებდათ.

ამ განზრახვით თბილისიდან დაუბარებიათ გურული მემუსიკეები, ქუთაისიდან მზარეული, სხვა ქალაქებიდანაც ბევრი რამეები. რასაკვირველია, ყველა ესენი ამ მოღღესასწაულეთ იაფათ არ დაუჯდებოდათ.

ჩვენ იმის შესახებ არაფერს ვიტყვი, იყო თუ არა ბ. მრეელიშვილი ამის ღირსი? შესძლოა, მეტიანაც იყო, მაგრამ გეიკეის ფოთის საზოგადოებისაგან, რომ ამ ნაირ საქმეებს—სადილ-ვანშმის გამართვას აქაურები ძრიელ ეწყობიან და რაიმე საქველმოქმედო საქმის წარმოებას კი ვერ შერჩებიან. განაკრთა არი საზოგადო საჭირ-ბოროტო საქმე? მკაცრი ზამთრით დასჯილი ხალხი ჯერ კიდევ ვერ მოსულა გონს, წყალ-დილობისაგან დაზიანებული ხომ თვით ფოთში ბევრია და სხ. ვგონებ, ამ ნაირათ დევარდნილი ხალხის ყურადღების მიქცევა ყოველი ადამიანისათვის ზნეობრივი ვალდებულება უნდა იყოს; კიდევაც აგროვებენ ფულს სხვა-ღ-სხვა დაბა-ქალაქებში წარმოდგენის გამართვით, ანუ ხელის მოწერით, რომლებიც ფოთზე ბევრათ ქვევით დგანან. ამის მაგიერათ ფოთში, რაც შეეხება პირად სიამოვნებას და კუჭ-მუცლის გამოკვებას, მუდამ მზათ არიან წარმოდგენაც გამართონ და ხელის მოწერაც: მაგალითათ—რამდენჯერ გაუმართათ წარმოდგენა „კლუბისთვის“ პიანინოს შესაძენათ? სადილ-ვანშმებიც ხომ ხშირათ გამართულა; აი, ამნაირათ ფლანკვენ ფოთში ფულებს, ხოლო თუ საქველ-მოქმედო საქმე უჩრჩიეთ, მაშინვე ვიპასუხებენ: „სად არის ფულიო“.

სხვათა შორის თავ. რაფ. ერისთავის იუბილეს,

როგორც ვიცით გაზეთებიდან, საქართველოს—თითქმის ყოველ კუთხიდან დაესწრო დეპუტატები, ფოთელებს კი ყურაც არ გაუბერტყია. სამკითხველოები ახლა ხომ სოფლებშიაც დაარსდა; ფოთში კი ღეთის გულისთვის უნდა ითხოვო წიგნები კერძო პირებისაგან, თუ არა ვერსად ვერ იშოვნი.

გეიკეის ანაირი გულ ცივობა საზოგადო საქმეების მიმართ ფოთელებისა. ვისურვებთ, შემდეგისათვის მიებაძოთ ფოთელებს სხვა დაბა-ქალაქებისთვის, სადაც არ იფიწყებენ ჩვენ გაჭირებულ თანამოძმეებს და მათაც გაეწიოთ გულითადი თანაგრძნობა ხელმოკლე ხალხისთვის.

გოჭიქე და რუმა.

* * *

გორი. 25 იელისს აქ ჩამობრძანდა დიდათ ჩვენ მიერ პატივსაცემი ქალბატონი მარჯორი ვარდროპი თავის მამით, დედით და ძმით; აქ დაჰყვეს მხოლოდ ღამის ათ საათამდის. რკინის გზის სადგურზე, სხვათა შორის, ექვთიმე კოპლატაძემ ლექსიც უძღვნა.

ლექსისთვის დიდათ კმაყოფილი დარჩა მთელი ოჯახი და მადლობა გადაუხადეს ავტორს. სადგურის ქართველობამ დიდი აღტაცებით გააცილა პატივცემული სტუმრები ქალაქ ქუთაისს.

გ. სნეკაძე.

* * *

დაბა დელიყანი (განჯ. გუბერ.). თუმცა აქაურობა მოკლებულია ყოველ გვარ სამკურნალო წყლებს, მაგრამ სამაგიეროთ დელიყანს გარს ახვევია ფიქვანური ტყე, რაც ყველასათვის ძლიერ სასარგებლოა.

დელიყანს ამიტომ საზაფხულოთ მრავალი მოაგარაკენი ეწვევიან ხოლმე. აქაური სახლის პატრონები მეტათ დააფიქრა რკინის გზის გაყვანამ ს. ყარაქლისაში (40 ვერსია აქედან, სადაც ახლა გაცხარებული მუშაობაა: მიწის მუშაობას მორჩენ და მალე ლიანდაგის დაწყობასაც შეუდგებიან). ყარაქლისაში დელიყანზე ნაკლები ჰეა არ არის და, ვი თუ გზის გაყვანას შემდეგ საზაფხულოთ ხალხი იქ უფრო მიეტანოს, ვიდრე აქა და ჩვენ დავრჩეთ პირში ჩალა-გამოვლებულიო. მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს ტყეილი ფიქრია, რადგან საზაფხულოთ აქ უფრო ერევიდან და ბაქოდან მოდიან, და იმათთვის გზის ფასი დელიყანამდის უფრო იაფთ ეღირება, ვიდრე ყარაქლისამდე. აქ ახლა დიდი მოძრაობაა. ქ. ყაზახის სახელმწიფო დაწესებულებათა კანცელარები ზაფ-

ხულობით აქ გადმოაქეთ ხოლმე, აგრეთვე იქაური მოეპყრენი მოდიან და აქ ეპყრობენ ზაფხულობით.

მატყლი ძალიან იაფია, ფუთი 5—6 მანეთათ იყიდება. ამიტომ თბილისიდან მოდიან ეპყრები და აქ ყიდულობენ მატყლს.—კარგა ხანია, რაც აქაური ქართველი ახალგაზღობა ე'ზადება წარმოდგენების გამართვას საქველმოქმედო საქმისათვის, მაგრამ ჯერჯერობით ვერა გააწყეს-რა.

ტრ. ჭობაძე.

* *

სოფ. ნოსიძე (სენაკის მასრა). როგორც ჩვენ საქართველოს სხვა კუთხეში, აგრეთვე სამეგრელოშიაც დღესასწაულობენ ოცს იელისს „ელიობას“. ადგილ-ადგილ სამეგრელოს სოფლებში თემობაც იციან, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებით დიდძალ ხალხს იზიდავს სოფ. ნოსიძის საზოგადოების თემობა, სადაც აუარებელი ხალხი მოდის დროს გასატარებლათ. აქ იმართება ცეკვა—თამაშს გარდა ჯირითობაც. გარდა ამისა საზოგადოთ მთელ სამეგრელოში ამ დღეს ლოცევა იციან და მეგრულათ ამას „ზეამერის“ ეძახიან. ერთ დიდს ზაქაბურს გააკეთებენ; ანთებენ სანთელს და წმ. ილიას თხოვენ იხსნას ხალხი ცეცხლისაგან და დროზე წვიმა მოაგლინოს. რაიცა შეეხება წრეწანდელ თემობას ძალიან უფერულათ ჩაიარა, რადგანაც ხალხი ეკონომიური მხრით ძრიელ დაქვეითებული არის. ერთ აქაურ მცხოვრებს ახალ-სენაკიდან მოწვეული ჰყავდა ვურისი მემუსიკეთა ამხანაგობა, რომელიც ამ ქვამთ სენაკში იმყოფება. ამან კი გვარჩიანათ ასიამოვნა ხალხი.

17—18 იელისს აქეთ საშინელი აღმოსავლეთის ღონიერი ქარი ქროდა, რომელმაც უამისოდაც გაფუჭებულ ჭირნახულზე ცუდი გველენა იქონია. ნაღრევი სიმინდები დაღეწა და დიდი ზარალი მისცა საზოგადოებას. აგრეთვე ცუდი დღე დააყენა ვაზსაც. ახლა აქეთ გვარჩიანი ამინდებია. დროზე წვიმა და ცვარ-ნამია. ხან-და-ხან ისეთი სიციხეები დადგება, რომ სულსა და გულს უხუთავს ადამიანს.

ტრიაფონ კალანდარიშვილი.

* *

ქნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატრიცეზული გაზ. „კვალის“ საშუალებით პატარა შენიშვნა მიეცე ბ-ნ ის. ლომაძეს, რომელიც ამას წინეთ თქვენსავე გაზეთში წერდა: „რამდენჯერ მივედი ბიბლიოთეკაში, არაოდეს იქ გაზეთები არ და-

ხვდა, სადღაც წავლობო; მერე თითონ იმ კაცისას მივედი, რომელსაც გაზეთები ჰქონდა წაღებული და, დახე ბედს, აკი, იქიდანაც ეილაცას წავლობო“. ამნაირათ ბ-ნ ლომაძეს ვერაოდეს ვერ უზოენია ისეთი დრო, რომ ხიდისთავის ბიბლიოთეკაში გაზეთი წაეკითხა. ამაზე აი, რა უნდა ეუბასუხო სენეგულ წერილის ავტორს:


ფოსტა მოდის დაბა ჩოხატაურში კვირაში ორჯელ: ხუთშაბათობით და კვირაობით. ხიდისთავიდან ჩოხატაურამდე არის 6 ვერსზე მეტი. ამიტომ გაზეთების მოტანა ჩოხატაურიდან ზამთარში და ისიც წოლევანდელ ზამთრის დროს ძლიერ გასაჭირა იყო მით უფრო, რომ გასაველი იყო მდ. სუფსა, რომელიც კარგა მოზდილი მდინარეა გურიაში; წოლევანდელმა წყალ-დინდობამ იმაზეც აღარ გაუშვა ხიდი. ამის გამო ახალი გაზეთების მოტანა გვიანდებოდა და ძველ ნომრებს, როგორც წაკითხულს, ბ. ლომაძეც ხელ-ახლა აღარ წაკითხავდა. ერთი რამე კიდევ უნდა ეკითხო ბ-ნ ლომაძეს. თუ ბიბლიოტეკის გაზეთების განათხოვრებას უარს ჰყოფს, რატომ თითონ თხოულობდა გაზეთს სახლში წასაღებათ? არა ბ-ნო ლომაძე! თუ თქვენ ბიბლიოტეკის სიღარიბე გულს გწევთ, რატომ საწყალ ბიბლიოტეკარს შესწამეთ სუსტობა, რომელიც მთელი ნახევარი წლის განმავლობაში თითქმის უსასყიდლოთ ემსახურებოდა ამ საქმეს, ათასგვარი ტანჯვა აიტანა და ასე გაშინჯეთ: წესიერების დაცვისათვის ერთმა რაინდმა კიდევაც ცემა ქუჩაში ავთომყოფ ბიბლიოთეკარს.

ამასთანვე დიდი მადლობის ღირსნი არიან: ბერეჟიანი, რომელიც თითქმის თავის ხარჯით ინახავს ბიბლიოთეკას, მლ. სერ. კალანაძე, რომელმაც ნახევარი წლის განმავლობაში თავის ხარჯით შეინახა ბიბლიოთეკარი; ანანი კალანაძე, რომელმაც უქირაოთ დაუთმო სახლი ბიბლიოთეკას. მოვავრნებთ აგრეთვე ბ-ნ სიო ბერიძეს, რომ ის ფული, რომელიც იმას აქვს მიბარებული, დროიანათ მოახმაროს ამ კეთილ საქმეს და ააშენოს სახლი წიგნთ-საცავისათვის. ამდენი ხანია ამ სახლს უცდით. იმედია ბ-ნი სიო, რომელმაც იმდენი სარგებლობა მოუტანა თავის სოფელს, ამასაც იდგებს თავზე და დაავიწყებინებს ამ მის მიერ დაწყებულ საქმეს.

ბიკენტი ლომთათიყ.

* *

ქნო რედაქტორო! მე მოგართვით ლექსი დასაბეჭდათ, რომელიც იწყებოდა ასე: „გაშუორდი სვედავ, ტიალო“... და იყო მოწერილი ასოთი 5.



გ ე ფ ხ - ა ქ ლ ე მ ა (უ ი რ ა ფ ი).

ახლა ეს ლექსი ვნახე დაბეჭდილი მე-32 №-ში „კელოში“ და ქვეშ აწერია რ. ე—ი.

ამ შეცდომას მე შემწამებენ, რადგან „ნ“ ვერ გამოხატავდა ამ ასოებს. „ნ“ შეიძლება ყოფილიყო ან ნათელა, ანუ ნინო და არა—რ. ე—ი.

გთხოვთ ეს შეცდომა დაბეჭდოთ მომავალ ნომერში, თორემ მე ჩემი ნათესავი ქალი შემწამებს ან თეით—მნებელობას, ანუ ქურდობას და იფიქრეთ რა საზიზღარ მდგომარეობაში ჩავეარდები.

რ. ერისთავი.

სამწუხაროთ ჩვენდა ამ ვინლაც „ნ“-მა, როგორც პატივცემული რ. ერისთავი, ისე „კელოს“ რედაქციაც შეცდომაში შეიყვანა, რადგან ლექსი „გამზორდი სეედაე, ტიალო“ მისი კი არა, ბან ზაყელის ლექსი ყოფილა—და ამ ხუთი წლის წინათ გუნთას კალენდარშია დასტამებული. იმ დალოცვილმა მარტო ის კი არ იკმარა, რომ თითონ ლიტერატურული ქურდობა ჩაიდინა, რედაქციასაც და პატივცემულ რ. ერისთავსაც უსინდისოთ მოექცა. ამ მაგალითმა უყურადღებოთ არ უნდა ჩაიაროს. მოეგონებთ ქართულ ლექსების წერის მოტრფიალეთა, რომ ფრთხილათ მოაწოდონ რედაქციას თავისი ნაწარმოები, თვარა „კელოს“ რედაქცია იძულებული იქნება, სულ აღარავის ლექსები აღარ სტამბოს, რადგან იმას არც დრო აქვს და არც მოცალდება, ყოველი დასასტამბავი ლექსის გულისთვის მთელი ქართული ლიტერატურა გადააქოთოს, რომ შეცდომაში არ შეიყვანოს რომელიმე მოლექსე ქურდმა.

რედაქ.

ვეფხ-აქლემა (ჟირაფი).

რის ერთნაირი ცხოველი აფრიკაში, რომელიც სიმაღლით აქლემზე უმაღლესია და ტყავი როგორც ვეფხის ტყავი, ისე დაქვარტყალიტებული აქვს. წინა ფეხები უკანა ფეხებზე უფრო გძელი აქვს, სიმაღლით, კისერი რომ აიწიოს, სამი საყენია; ის იკეებება განსაკუთრებით მაღალი ხის ფოთლებით; ორ-ჩლიქიანი პირუტყვია; რქები მოკლე აქვს. ალბათ ბუნებასაც იმიტომ აუმაღლებია მისი ტანი, წინა ფეხები და კისერი არა ჩვეულებრივად დაუფძლებია. ეს ცხოველი საკვირველი ცქეტი და მასთან მშიშარაა. გაქცევაში მას ვერაფერი სულიერი ვერ გაასწრებს. მაგრამ ეს პირუტყვი ამასთანავე საკვირველი შეილის მოყვარულია. როცა მის ნუკრს

უჭირს რამე, ის აღარ დაეძებს არაფერს; მშიშარა ცხოველი გმირათ ხდება. მაშინვე ეცემა მტერს და წინა ფეხების დაკრით ლომსაც განგმირავს. ქვემოთ დახატული სურათი გვიჩვენებს, რომ ერთ უშველებელს ნიანგს ვეფხ-აქლემის (ჟირაფის) ნუკრი დაუჭერია. დედა გააფთრებულა, დაუტრავს წინა ფეხი ნიანგისთვის და, როგორც ისრით ისე გაუპია მისი მკერდი.



ფშავლის ნამბობი ზეპირ სიტყვაობით

გიორგი წიკლაურისაგან,

ჩაწერილი ავლანში ღვინით მოკაჭტე მისიელ იან-ვანაშვილისაგან.



ვიცი წლის ქალი მოვიდა, ეგ თამარ დედოფალია, პირდაპირ ჩამოუჯდება, ლალი-ლაშარი ჯვარია.

უბრძანა ლაშარი ჯვარმა, მთას შამოაელო თვალთა, დალაღდენ ფშავლის შევილები, ყველამ გაღვსეთ ხმალია.

ვინც არ გაღვსა, გადაჰკრა; მაგის ნაცემი მწარეა. ჩავიდენ ტერელოშია (ციხეში), არ დაცდათ სისხლის ცუარია.

მეორე დილას გაჰქანდა სისხლი როგორც წყალ-ნაეუბარია.

გამოიტანეს ცხვარ-ძროხა, თან მოაქვს მთა და ბარია. მოსდევენ თათრის შევილები, დარჩეულ მოისარია; აყრიდენ სეტყვასავითა, ისარს არ ჰქონდა ძალია.

ნუ დაიკეებებთ, ფშავლებო, არა გაქეთ დიდი ძალია. გვერდს გიღვათ ლაშარის ჯვარი, გიქრით იმათი ძალია.

შამოგებედეს ლაშარ-ღელესა ბევრი ხარი და ცხვარია. ჩემს კარზე ჩამოგეკიდნათ პატარა ოქროს ზარია, დაჰკრან, ხმა ახათს*) წავიდეს, პირს დაეიწროთ ჯვარია.

ამისი გამღეკსებელი აღვანში თუშის ქალია; გამამიგზავენთ საღეკსოთ თითო შიშკი ცუარია, ანუ თუ ოქროს ბეჭედი, მიყრიაღებდეს ტანია.

*) „ახათი“ ანის სოფლის სასქელი.

ზეპირსიტყვაობა

მოდგმას ჩვენი ქველები დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ.

სვიმონ აბაშიძის ნაამბობი ქალიდან.



როსაფ მაჭავარიანი იყო ორლულელი აზნაურ-შვილი, სახიერი და ჩინებული თვალ-ტანადი კაცი. ცოლი რომ შვირთო, ქუთაისს გაემართა საოჯახო ნივთების საყიდლათ და თან ერთი ცხენოსანი ბიჭი იახლა.

მაშინ ქუთაისი დიდი არა იყო-რა. რიონს გაღმა მხარეზე ერთ უდაბურ ალაგს სილას ეძახდნენ. ეს იყო ტყიან-მინდვრიანი ადგილები. იქ იმ დროს ერთი სახლიც არ იდგა. როგორც ვიცით, მაშინ არც ახლანდელი, ესრედ წოდებული, „გოსტინნიცების“ სენება იყო და არც სამიკიტნოსი. მაზრიდან მოსული სტუმარი სილის მინდვრებზე დაბინავდებოდა თავისი საგძლით და ცხენებს გაუშვებდნენ ბალახზე. როსაფ მაჭავარიანიც ასე მოიქცა. ჩამოხდა სილაზე და ბიჭს თავისი ბედაური ჩააბარა. თვითონ წამოწვა ნაბაღზე და უნაგერი თავით მიიღვა.

ამ დროს ჩხრიალ-ჩხრიალით მოდიოდა ქვემო ქვეყნიდან ერთი ჯგუფი ცხენოსნებისა. ეტყობოდა, ვინაც სამეგრელოს თავადიშვილი უნდა ყოფილიყო თავისი ამალით. თავადიშვილი და ამალა მისი დაბინავდა იქვე მინდორზე, როსაფ მაჭავარიანზე ცოტა მოშორებით. როსაფი წამოდგა ზეზე და დააცქერდა ახალ-მოსულებს, უნდოდა შეეტყო, ვინ ბრძანდებოდნენ. თავადიშვილს მოეწონა როსაფის თვალ-ტანადობა, მის ბიჭს ხელი დაუქნია და თავს-თავთან მიიხმო. როსაფ მაჭავარიანის ხლებული მივიდა ქვემოურ თავადიშვილთან. იმან ჰკითხა:—ეს პატიოსანი ვაჟკაცი ვინ ბრძანდებოა? ბიჭმა უთხრა:—ჩემი ბატონი განლაგეს, როსაფ მაჭავარიანი, სარდლის ქაიხოსრო წერეთლის კარის აზნაურ-შვილიო.

— რისთვის მობძანებულა ქუთაისშიო?

— ახალი ცოლშერთული განლაგეს და საოჯახო ნივთების საყიდლათ მობძანდაო.

— ნეტა, ვისი ქალი შვირთო ცოლათ, თუ იცოდა?

— ერასტი აბაშიძის და შვირთო სოფ. ქალიდანაო — მოახსენა ბიჭმა.

— უჰ! — იწყინა ქვემოურმა თავადიშვილმა, ხე-

ლი-ხელს დაჰკრა და წამოიძახა:—ჰაი, ბეჩე რა შეენიერი ვაჟკაცის თესლი გაუფუჭებულაო!..“ ჩვენი მეფეების დროს ძალიან შორს იცნობდნენ ერთმანეთის შთამომავლობას. სამეგრელო-იმერეთში ერთმანეთის ამბავი არ გამოეპარებოდათ.

ყურადღების ღირსია, ვინ უნდა იყონ ახლა ჩვენი ნაცნობი ინტელიგენტთაგანი ქალელი ერასტი აბაშიძის ჩამომავალნი?

— იმის ჩამომავალნი დედის მხრით არიან: დავით აბლუშელიშვილი, ქუთაისის ნოტარიუსი, მისი ძმა ალექსანდრე აბლუშელიშვილი, ქუთაისის ოლქის სასამართლოს პრისტავეი და სამსონ აბლუშელიშვილი კიათურის ქვა-გუნდის საზოგადოების გამგების წევრი. მაგრამ ამათ ყველას კარგი კაცობის სახელი აქვთ დავარდნილი. ალბათ, ეპოქის შეცვლა, შთამომავლასაც ფერს უცვლის.

აი, ამის შესახებ ოქროპირ წერეთელს უთქვამს: „იმერთო დაველოცა სამართალი! თუწინ ჩვენი ძეგლები ცოლის შესართავათ რომ მოემზადებოდნენ, პირველათ გვარს და ჩამომავლობას კითხულობდნო თავის საცოლოსას; ახლა კი ცხენსა და ხარს რომ ყიდულობენ, მხოლოთ მაშინ გამოიკითხვენ რა ჯიშის არისო. ხოლო საცოლოზე მართო იმას კითხულობენ, რამდენი მზითევი აქვსო?.. არც შთამომავს და არც ჯიშს მისას აღარ დავძებნა“.




მცირე შენიშვნა.



რთ წელიწადზე მეტია მას აქვთ, რაც თბილისში ბ. გ. წერეთლის თემჯღღამარეობით ჩვენმა ინტელიგენტებმა ერთ-ერთ კერძო კრებაზე განიხილა სამი სხვა და-სხვა პირებისაგან შედგენილი „ქართველთა შეუძლო მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოების“ პროექტი. ამ კრებამ დიდ ბჭობასა და განსჯას შემდეგ მოიწონა შინაარსის მხრივ სახელდობრ ის პროექტი მომავალი საზოგადოებისა, რომელიც აღმოუჩინდა წოდებთა განურჩევლათ დახმარებას ქართველ შეუძლო მოსწავლეთა, ადგილისა და სასწავლებელის მიუხედავთ. კრებამ, ვიდრემდის პროექტი წარდგებოდა დასამტკიცებლათ, აღმოიჩინა კერძო კომისია და მიანდო მას

პროექტის ზოგიერთი კრებისაგანვე აღნიშნული ადგილების შესწორება. კომისიამ კრებისაგან მინდობილი საქმე ერთა თვის განმავლობაში შეასრულა და მერე კი რა ბედი დაატყდა ამ პროექტს, არ ვიცი და ვკონებ, ეს არც ქართველმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს. სასურველია, ვიცოდეთ, რა მდგომარეობაშია ამ პროექტის ბედ-იღბალი? წარადგინეს იგი, თუ არა დასამტკიცებლათ, და თუ არა, დროა, ვკონებ, საქმეს დაუჩქარონ, მით უმეტეს, რომ ჩვენი ზოსწავლე ახალგაზდობის ნიეთიერი მდგომარეობა არაფერ სანუგეშო სურათს წარმოადგენს



დელეფისის ნანგრევები საბერძნეთში.

და მამასადამე თხოულობს შესაფერ დახმარებას და მოღვაწეობას.

ვინ არ იცის, რომ ქართველი ახალგაზდობის ვაი-ვაგლანით და ქაპან წყვეტით ათაეებს გემნაზიებს და სხვა საშუალო სასწავლებლებს, მაგრამ შუა გზაზე ფრთები ეკვეცება, ზოგნი მათგანი შეუძლებლობის გამო უნივერსიტეტის კარებსაც ვერა ნახულობს, ისე უდროეოთ გულ ჩათუთქულნი, იმედებ-გაქარწყლებულნი ცხოვრების წალმა-უკულმა ტრიალს მიჰყვები-მოჰყვებიან. ზოგნი, მართალია, აკედლებენ თავიანთ თავს მეცნიერების ტაძარს, მაგრამ რამდენათ გარემოება მათ ხელს უწყობს საქმის რივიანათ წარმართვაში, ამის აწონ-დაწონვა და ასე თუ ისე გადაწყვეტა—თვით ამ „ზოგნი“სთვის მიმინდვია.

წელს განჯაში გემნაზია დაამთავრა ადგილობრივი მომრიგებელი შუიმაველის შეიღმა ირაკლი მიხეილის ძემ ფურცელაძემ, რომელსაც დიდი სურვილი აქვს უმაღლესი სწავლა მიიღოს, მაგრამ ეს სურვილი სურვილებათ რჩება, რადგანაც იგი შეუძლოა და ამისათვის სამხედრო სამსახურში აპირებს შესვლას.

მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ბ. ფურ-

ცელაძე ვერაფერი კარგი მხედარი გამოდგება, მით უმეტეს—ყმაწვილს არავითარი სურვილი და მიღრეკილება არა აქვს სამხედრო სამსახურისა, და უამისოთ კი მიმხედარი ვარ, იმხედრებს. გინდა არ გინდა, ქვემარტი მხედარი, მამაცი და გულადი მეთმარი გამოდიო, ეს ვერაფერი კარგი თეორიაა, ეს თვით სამხედრო წეს-რიგის წინააღმდეგი პრინციპია.

აი, ჩვენ საზოგადოებას რომ თვისი მომავალი ახალგაზდობის ბედ-იღბალი აინტერესებდეს, მისი უმწეო და უნუგეშო მდგომარეობა ცოტათი მაინც აფიქრებდეს, მაშინ ბ. ირაკლი ფურცელაძე და მავგარი ყმაწვილები ქართველ გულ-წრფელ მოღვაწეებს საერთო უღლის წევაში გვერდით ამოუღებოდენ, და სამხედრო უწყების ტყუილ-უბრალო ბარგათ არ გადაიქმნებოდენ.

აი, სწორეთ, ამისათვის საქირაა და მასთან სანუგეარი, ზემოთ დასახელებული პროექტი, რაც შეიძლება, მალე და მალე დატკიცდეს, ეგებ მაშინ ჩვენი მოსწავლე ახალგაზდობის ბედ-იღბალი, ასე თუ ისე, მაინც შეიცვალოს და მათმა სწავლამ და შრომამ სასურველი ნაყოფი მოიტანოს.

ს. ყუმისთაველი.



ჩ ა ლ დ ი რ ი

თავისი შესანიშნავი შენობებით და ტბებით.

(დასასრული *).



ორძაი-შახის ციხე დგას მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ძლიერ მაღალ კლდეზე; მტკვრის გაღმა-გამოღმა ამართულია პიტალო კლდეები, რომლებსაც კაცი თვალს ვერ უწვდენს. გაღმა კლდეში შენახულია 27 მაღარო, რომლებშიაც ქარის მეტი ვერა მიწვდება-რა; ეტყობა ქვითკირით არის ნაშენები მაღაროების შესავალი. ერთ მაღაროდან, რომელიც სხვაზე უფრო მაღლა არის, იმდენი წყალი გამოიხუხჩუნებს, რომ ხუთ თვალ წისქვილს ეყოფა. ასად-ალამ მითხრა, რომ ეს წყალი ხოზაპინის ტბიდან მომდინარეობსო და როდესაც ამ მაღაროებში ხალხი იმალებოდა, ამ წყალს ხმარობდნენ; სიმლაშე დაკარგული აქვსო. ეტყობა, რომ გაღმა კლდეზე ძლიერ ბევრი მაღაროები ყოფილა. გამოღმა კლდეზე კი არა ჩანს, მხოლოდ ციხიდან აღმოსავლეთისაკენ მოჩანს ერთი პატარა ეკლესია, რომელიც მე ვერ გავიხივებ, რადგანაც იქ ჩანგლა საძნელო იყო. თვით ციხე, როგორც ვთქვი, აშენებულია მიუღღგომელ კლდეზე და სამი მხრით უელის მტკვარი. ამას გარდა გარშემო არტყია სტიტკირის გაღაფანი; შუა-გულ ადგილზე, მაღლობზე, დგას ორი კოშკი; ერთი მათგანი უფრო მაღალია; კოშკების მარჯვნივ პატარა ეკლესია, რომელშიაც წმიდანების ნახატები დღემდის შენახულან ხუცური წარწერებით. ამ ჟამათ ეს ეკლესია ბალის პატრონს, ახმედ-ალა სანამ-ოღლის, თავლათ გადაუკეთებია; ამის შესახებ მე განუცხადე ასად-ალას, რომ თუ ამას შემდეგ სუფთათ არ შეუნახავთ ეკლესია, გუბერნატორს ვაცნობებ-მეთქი. წყალზე ჩასასვლელი კიბე ისეა გაკეთებული, რომ უკეთესი არ შეიძლება. საკვირველია, რომ რაც უნდა დიდი თოვლი იყოს გარშემო, ამ ციხესთან დიდხანს ვერ გაძლებს, ჩქარა დნება. ასად-ალამ მითხრა, რომ შარშან ამ ციხეში ყარსის გუბერნატორმა მთელი ღამე გაატარაო. მინდოდა გამეშინჯა აკრეთვე მგელ-ციხე, მაგრამ რადგანაც ცუდი გზა იყო, ვეღარ წავედი. დებრუნდით ისევ წყაროს თავში ასად-ალასას, და აქიდან ზურზუნაში. ორ კვირეს შემდეგ მე და ერთი ჩაფარი წავედით ერთა ეკლესიის დასათვლიერებლათ, რომელიც მეჩეთათ გადაუკეთებიათ. ეს ეკლესია და წყაროს-თავის ეკლესია ერთ დროს არიან აშენებულიო,

ასე ამბობენ აქ. თუმცა ჯერები განგებ დაუმტერეთ, მაგრამ ალაგ-ალაგ კიდევ ბევრგან დარჩენილა იმათი ნასახი. ეკლესიის გუმბათი დამყარებულია რვა მაღალ ქვიტიკრის ბოძებზე. შენობის გვემა იმ ნაირივეა, როგორც წყაროს-თავის ეკლესიისა. ამ ეკლესიაში ათაბაგობის დროს წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე იყოფო, ასე ამბობდა ქართულათ ერთი იქ მყოფი ბერი კაცი. ეს სოფელი „ქართლის ცხოვრებაშიაც“ არის მოხსენებული. მეტი ვერა გავიგე-რა, ვერც ამ სოფლის და ვერც მისი ეკლესიის შესახებ.

19 ს იანვარს 1892 წ. ადგილობრივი მავრის უფროსი და ჰე წავედით სოფ. მერედისში, ამიდ-ალა სანამ-ოღლისთან, რომელიც ზევით შოვისხენიეთ. ამ ამიდ-ალის სახლი ძლიერ მდიდრულათ არის მოწყობილი. მისვლისთანავე რამდენსამე წამს შემდეგ, მოლამ, რომელიც მეყავეთ ჰქოლიათ, მოგვართვა შევნიერი ყავა. სახლში შესვლის დროს კარის საძირკველზე მე შევნიშნე ერთი წარწერა; ეს წარწერა ხუცურათ ნიშნავს: ალაშენე ეკლესია

ზ ი უ მ

ყ რ უ ზ უ. შემდეგ გამოვეითხე მასპინძელს, თუ საიდან ჰქონდა მას ეს ქვა მოტანილი. ამაზე მან მიპასუხა: „ამ ჩვენ მერედისში იყო შევნიერი ქართული ეკლესია, რომელიც დააქცია ახლა რომ ზურზუნაში დადა-ბევი ორბელიანი არის იმის მამამ, ნაიმ-ბეგმა; ქვები ზოგი იმან წაიღო შენობისათვის და ზოგიც ჩვენ მოვიხმარეთ. აი, ეს ქვა სწორეთ იქიდან მაქვს მოტანილიო“. დადა-ბევი ამ ჟამათ ერთათ-ერთი ბევია მთელ ჩალოდირში; ამის წინაპარი გვართ ორბელიანი ყოფილა. ოსმალეთს ჩამოუტრთმევია მისთვის მამული და პენსია დაუნიშნავს. დღესაც რუსეთიდან ეძლევა ამ ბევს პენსია. მინდოდა გამეგო რამე ბევისაგან, მაგრამ იმისთანა ყრუ ვინმეა, რომ მისგან კაცი ვერას გაიგებს; ის ყველას ძლიერ ეწიხლება. ამისი მამა ნაიმ-ბევი კი გავლენიანი კაცი ყოფილა. მე მასპინძელს პატარა საყვედურიც განუცხადე იმის შესახებ, რომ ყალა-ბაღჩასის ეკლესია თავლათ გადუქცევია. ამაზე ბოდიში მოითხოვა და შემპირდა გავსუფთავებინებო. ამ დროს გაშალეს სუფრა; ყველა საჭმელი იმ ნაირათ იყო შეზავებული, რომ მარტო სუნი გააძლებდა კაცს; სასმელათ მოგვიტანეს ჩინებული შარბათი ასე, რომ ამ სუფრაზე მჯდომ კაცს ლეინო აღარ ესაჭიროებოდა. სადილს მოაყოლეს ჩაი. ჩაის დროს მავრის უფროსმა ჩამოაგდო ლაპარაკი რუსეთის მავინდელ შიმშილობაზე, და შემწეობა თხოვა. მასპინძელმა მამანე უბრძანა თავის ძმას, ბოღჩა მომიტანე; მოიტანეს ბოღჩა, რომელშიაც სულ ასიგნაციები იყო ჩაწყობილი დასტად-დასტათ. ამოიღო ბოღჩიდან სამი წითელი ქალაღი

*) ის. „გეგლი“ № 32.

ე. ი. სამი თუმანი და მართვა უფროსს. ჩამოვარდა ლაპარაკი სიმდიდრეზე და ამოჩნდა, რომ მთელ იმ მხარეში ამიდ-ალაზე შეძლებული აღარავენ ყოფილა. სიმდიდრესთან, არც ოჯახის სიმრავლე აკლია ასე, რომ 70 კაცზე მეტია ამ ოჯახში ქალი და კაცი; ყველა ესენი ემოჩრილებიან ამიდ-ალას, როგორც ოჯახის უფროს.

ამნაირ მოგზაურობაში გავატარე თითქმის სამი თვე ჩაღდირში. საზოგადოთ აქაურ ცინებზე უნდა შევენიშნო, რომ სწორეთ კარგათ ცოდნით ცინეების აშენება; რაც შეეხება ჩაღდირის ტბას, მე იმ აზრისა ვარ, რომ ეს ის ტბა უნდა იყოს, რომლის ნაპირზე ცხოვრებდნენ ქართველთა ტომი და ხელობით ნაქებნი ტიბარენნი. ამას გარდა ჩაღდირში ბევრნაირი არაკებია დარჩენილი, მაგრამ ყველას ვინ მოაუყრის თავს. ჩაღდირში ყოფნის დროს არადავანიც მოვიარე ორჯელ, მაგრამ იქაურს ამბავს ვემდეგ ავწერ.

ო ტ ი ა ა თ ა ბ ა ე ი .



მ ა ტ რ ა კ ვ ე ც ა .

(ნ. გაგნეჩის მიხედვ.)

I.



რა იყო რა კი არა, მართლა იყო და საქმეც გააქირა ერთმა ნამდიდრმა მატრაკვეცამ. იყო ის მატრაკვეცა, რომელზედაც ითქმისო:

„ეინ იცნობს,—ვის ჰყავს ნახული,
ჩენს მატრაკვეცას ამასა,
ფეხ-წერილსა, სიტყვა-სამასა?
სული აქვს მოკლე, ყელს ჩრია გული!“

ეს მეტი-კენიბა იყო წმიდა ფიქვის კვარი, წერილი ჩხირი და თავი ჰქონდა შავი, შეტრუსული.

ერთხელ ერთ დიდ დარბაზში შობის დღეებში ფერად-ფერადთ ჩაცმულმა ბავშვებმა თავი მოიყარეს, სადარბაზოთ მობძანდნენ. გოგოებს სულ თეთრი და ვარდის ფერი კანები ეცვათ, ბიჭებს ლამაზი პერანგები ყველა მხიარული იყო, ყველას გული უტყვდა: ყველა ირგვლივთ დასხდნენ. აანთეს ჩენი მატრაკვეცა და ხელით-ხელს ჩამოირიგეს. ერთი რომ ხელს მოჰკიდებდა, ვაციინებდა, დაპაროწილებდა მატრაკვეცას და მეორეს მიაწოდებდა, მეორე მესამეს და შემდეგებსაც; ყველა იცინოდა და ამასობაში თავ-გასულათ გოგმანობდა მატრაკვეცა. თავის-სიბრიყვის

ჰგმნობდა მატრაკვეცა, მით უმეტეს, რომ ბავშვები დამღეროდნენ:

„ცოცხალია მატრაკვეცა, ცოცხალი!“

„ჩენს მატრაკვეცას სად-ეინ ჰყავს ცალი!“

— ჰხედავთ, რა ჩჩუელი ვარ, ჰხედავთ ყველა ჩემი დღეგრძელობით ჰხარობს! წამ-და-უწუშ ამბობდა მატრაკვეცა.

— მაშ ეყოფილვარ ბიჭი! უხაროდა მატრაკვეცას და ამ სიამოვნებაში ხან ერთ ადამიანი შეივლს მზაბოლებდა და ხან მეორეს. მაგრამ დიდმა ხანმა არ, ვანელო მას აქეთ, რაც სათამაშოთ შეიქნა მატრაკვეცა და ერთ გულნარა გოგოს ხელში ისე წაქეზდა, რომ აიღო და ჩაბნელდა.

— ოჰ, რა ორგული ხარ, მატრაკვეცა, არ მეგონე ფუქსავატი, არ მეგონე მეტი-წრიბა! რალა ჩემს ხელში გაგიქრა თავი და ჩაბნელდიო, გულ-მოკლულათ უთხრა გულნარამ.

— უკაცრავათ, თუ გეწყინათ; საურად მიმიღია ათი, ოცი, ასი დიად ასი თუმანი, ქალბატონო...

— დაიკარგე! შენც შეგარცხენა შენი ასიცა და ნაკლებიცა და მეტიცა... დაიკ!.. მოისროლა გულსიყვარულა გულნარამ ჩენი მატრაკვეცა და ისე გატყორცნა, რომ დარბაზიდან გადავარდა სასტუმროში, სასტუმროდან ემაწვილების ოთახში და იქ კუთხეში სათამაშოებში დაეცა.

— გამარჯობა, ქალბატონებო და ვაჟბატონებო! როგორ მიღხენთ, რათ მიწყენთ! როგორ ბრძანდებით, წამობძანდებით! — შესძახა მატრაკვეცამ. მე გახლა კართ მატრაკვეცა, მაგრამ ეს მხოლოთ სახელია, სახრავი ის გახლავთ, რომ მე გახლავართ სწრაფი, ჩქარი, უცები, მალი, ფარფატი, მყისი, მარადი, ქარი, ნიაფი და ამას გარდა თავადი-სევადი, კნიაზი-ბიაზი, გრაფი-რაფი, მარკიზი-ნარგიზი, დუკი დუდუკი, ერთი სიტყვით პოეზია, სტეირი-ჭიანურა და სხვა-და-სხვა. მე ეს არი ვიახელით სწრაფი მატარებლით პირდაპირ დიდი დარბაზიდან. იქ დიდი კრებაა, თვალსაჩინოთ, დიდებულათ არის დარბაზი კანათებული და სულ ეს ჩემთვის გახლავთ, დიდაც ჩემთვის! იქ ყველა ცდილობდა ხელში ვეტარებინე, იმიტომ რომ გარწმუნებთ, ეს დიდი პატივია. ისტორია არ დაიფიქვებს გამოჩენილს, ცნობილს, გაცნობილს მოღვაწეს, კნიაზ მატრაკვეცას; არა, არას დროს! ირწმუნეთ, იმიტომ რომ ისტორია გახლავართ მე თითონ, და ჩემს გარეშე ისტორია ფუჭ და მე მის კუჭ! იქ ყველას უხაროდა, რომ მე ცოცხალი ვარ, სწრაფი, ჩქარი, უცები; მალი, მყისი ფარფატი; ქარი, ნიაფი, მარადი; ერი მღეროდა, კაცობრიობა ბანს აძლევდა: „ცოცხალია მატრაკვეცა, ცოცხალი!“.. მე ძლიერ მიყვარს ესრეთი

ყურადღება. ვაშლი გამითალეს, მომართვეს კამფეტები-მამფეტები, მურაბა ღანძილასა, წნილა გულა-ფშუტასი და სხვა, მაგრამ მე პირი არაფერს დაეკარე, იმიტომ რომ არა მსურდა. მე მხოლოდ ჰაენის სიგარებს ვაბოლებდი—ფუფ, ფუფ, ფუფუფ! და ყველა ალტაცებაში მოდიოდა ჩემი ბოლითა, სულ თავ-ბრუ ესმოდათ. მართალია იყვენ ისეთნიც, რომელთაც ჩემი ფუფები სიბრიყვეთ მიჩნდათ, მაგრამ უტოპისტები გახლავან ისინი, უტოპისტები, რომელთაც ისტორია იეიწყებს,—აკი, მოგახსენეთ, რომ ისტორია თითონ მე გახლავართ, და მეტადრე ჩვენი ისტორია!.. მაგრამ ბოლოს თავი მომაბეზრეს უტოპისტებმა, შემაწუხეს და სწრაფათ, ჩქარათ, უცებათ გამოეფრინდი თქვენსკენ, მალი, მყისი, ფარფატი მატარებელითა, ქარის წისკილის ფრთებზე, ჩიტი-ჩიორასავით—ფრრრ! უნდა მოგახსენოთ, რომ ისტორია...

—ეინ არის ე ლიკლიკა, ე უსტინე, უძირო კიდობანი, ძირგავარდნილი კაკა, რომ მოსვენებას არ მძღღევს? თქვა გაჯაერებით თიხის იხემა. მთელი დღე ვაი-ვაგლანში ვარ და ღამე მაინც ვეღირსო მძღღვენებას! ერთი რაღაც უბრალო კვარის ჩხირია, თუ ხიწეა ვადმოუგდიათ და ტიტინებს, ტიტინებს იმისათვის, რა ჰქვიან...

—ქალბატონო, ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ მე სრულებით არ გახლავართ ჩხირი, არც ხიწვი! თქვენ ბძანდებით უბრალო თიხის იხეი და ამიტომ ცხადია, არ ძალგიძთ მე დამაფასოთ. მე არას დროს ხიწვი არ ყოფილვარ, არც ჩხირი! პაპა ჩემი იყო თავადი მატრაკეცი, ბებია ჩემი დიდი მატრაკეციან-ქოთან-ყურთან, ჯამ ქაშანურთან ასული, და მეც გახლავართ ნამდვილი მარკიზ-ნარგიზ, კნიაზ-მნიაზ, გრაფი-სწრაფი მატრაკეცა, დიად, ასე გახლავთ! ისტორია ალგეიწერს ჩემთ წინაპართ... მართალია, ერთ მათგანს ჰბრალდება შეცოდება სწრაფი, მალი, უცები, რომლისთვისაც უბრალო ებრაელი დისაჯავა, მაგრამ ეს გაზეთე... დიად გაზეთების მოჭორილია... გაზეთი იმ დროს არ იყო, ეს მეც კარგათ ვიცო, მაგრამ მეგაზეთენი კი უნდა ყოფილიყვენ... ხა, ხა, ხა! —ახირებულათ ჩაინარხარა რაფმა-სწრაფმა.

—მისმინეთ, კნიაზო-ბიაზო მატრაკეცა, ხმა გასცა დედოფალამ, რომლის ფერხთ ერქო მატრაკეცა.—ყველას დიად დაგვაღლებთ, ბატონო მარკიზ-ნარგიზო, ცოტა რომ ენა შეაჩეროთ!

—ოჰ, ქალწულო არსებაე! მე ქალწულთა ტრფიალებამ, გამოცდილი გახლავართ და უუმოჩილესათ გთხოვთ მომიტევეთ, რომ მაშინვე ვერ დაგინახეთ. მაგრამ თქვენ დამაბრმავეთ, თვალი ვეღარ გაგისწორეთ! თქვენისთანა ნარნარი არსება არსად მინახავს. სწორეთ თქვენც დიდ დარბაზში იქნებოდით; იქ ყველა ყმაწვილი ქალების ხელის-ხელ საგომანები სწორეთ მე გახლდით, მაგრამ არც ერთ მათგანს არა ჰქონია ლაიკის ისეთი ხელები, როგორც თქვენ. თავმოდრეკით გახლავართ თქვენ ფებრთა ყრმათ, და ნუთუ თქვენი ღმობიერება არ გაიღვიძებს და ხელს არ მიბოძებთ? იქნება იფიქროთ, ჩექმები არ აცვიაო... ჩაცმული გახლავართ უკანასკნელ მოდის კვალობაზე: ფეხ-წერილი გახლავართ, სულთ მოკლე, ხელთ-დროშა მჭერა, რომელზედაც აწერია უხმო ასაებით—„მტრკეცი!“ ერთხელ ჩემი თეთრი წუღებისთვის ვაქსის საყიდელათ გიახელით საუკეთესო საღებავების მალაზიაში.

—როგორ ღირს-მეთქი—კოლოფი საუკეთესო ვაქსი-წაქსი? ბევრი გამომართვით იმიტომ, რომ მდიდარი ვარ-მეთქი, ბანკის საქმეების პირველი, ერთათ ერთ, მხოლოდი, ველადი, კენტადი, კერძადი მცოდნე-მეთქი!

—ორი კაპეიკი და უზალთუნია.

—ეგ ძლიერ იაფია-მეთქი; მომიტყობით ხუთი უზალთუნისა ერთი მესუთედი!

—დიდი სიამოვნებითო, მიპასუხეს; მაგრამო ახლა საჭრეთელი არა გვაქვს, სულ გავასაღეთო...

—როგორ, განა კარგი ბუნჭალტერი ერთს კაპიკს უნდა ეძიებდეს ბალანსისთვის და მთელი ღამეები თვალებს იხდენდეს-მეთქი... ერთი სიტყვით ისტორია...

—ადამიანებო, გააჩუმეთ ეს ჩიტი-რეკია! დაიგრილა დოღმა,—არავის ასვენებს, სულელი, ყველა გამოაყრუა!

—უკაცრავათ, ბატონო ჩემო, მე სრულებით არ გახლავართ ჩიტი-რეკია, მე ერთათ-ერთი, ერთი ღმერთი, მცოდნე კონვერსიისა, თავადი ზიცია, აპოზიკა, კვიტანცია, აპელაცია, ცია, ქვეყნის ცია—ნაცია გახლავართ და ამასთან, ძლიერ გულადი... ერთხელ ერთ მუხის დედა-ბოძს დავეტაკე, გზაზე ვადმომეღობა და მითხრა—ბუხო! და ვეცი და ვახალე და ვახალე თავი, თან შევიძახე და შევიძახე—ქრახ-წირი, ბრუხ-კრუხ

და გრუნხხს.. უხ-მეთქი და შიგ ბარძაყში შევერტე ხიწვით ისე, რომ მიძრო, მიძრო და ბევრმა წელმა განვლო — ვერ გამომიძრო. ჰე, შეგაწუხე თუ არა მეთქი, გაწუხებს ხიწვი მეთქი, ეუძახდი და ხალხი იკრიბებოდა. დიად, სწორეთ ასე იყო; მაგრამ... ისტორია არ...

მამ, დამაცა! — თქვა ხის იასაულმა, — არ გაჩემდები და მე შენ გაჩეენებ ისეთ ჭრახსა, რომ სიცოცხლეში არ გენახოს!..

— მერე რა! მე ყველა იასაულს პატივს ვცემ. მე თითონ რა ფეხები ვარ... მამაჩემი რომ დიამბევათ იყო და სტაკი-სოვეტნიკობას მოვლოდა, მაშინ დედოფალი ეყურთხა და მამა-ჩემმა გასცა ბრძანება თავის საღიამბევოში... ვისაც როზგი გინდათ აცილოთ, შაბაში გადმოაგდეთ, თითო ოცდა ხუთიანის ბრძანება ასრულდა და მოდის და მოდის შაბაში! აფერუმ ქკუსა, ჯან მოღვაწეობას-მეთქი და სინარულით ბანზე ავბტი და მაშინვე ყველა მე გამომყვა... ერთი ამბავი შეიქნა, ყვირიან, —

„ცოცხალია მატრაკვეცა, ცოცხალი, ჩვენს მატრაკვეცას ვინ-სად ჰყავს ცალი!“
„წაგვიძღ წინაო, წყალში, ჯოჯოხეთში გადაგყარე, შენთან უნდა დავიხიცი, შენია დავიღუპნეთ! რო გეყურებნათ კეტის, მუშტის, ენების რჩილი! გაიღვიძა სიცოცხლემ, გონება გასულელდა, ქორი გამეფდა, სიბრყვე მსაჯულედა; უაზრობა სასიქადულოთ შეიქნა... გამართა ჩემი სარბიელი, მეც წაქეზდი და შიგ შუაგულ ცეცხლში გადავავრდი, ზარბაზნებს გაუდის ბრახა ბრუხი... უცებ ბუმ-ბამ-ბახ! ყუმბარა მე მეცა, მე ყუმბარას ვეცი და შიგ ბუხარში ხრაკ-ხრუკ!.. ყოველი ფერი იწვის, მღელვარება, ამბოხება... ბრახ-ბრუხ, ქრაკ-ქრუკ, ტკაც-ტყუც!..

მაგრამ ყური აღარავინ ათხოვა მატრაკვეცას. ყველამ ყურები დაიცვა და, ვისაც როგორ შეეძლო, ღრმა ძილს მისცა თავი. მატრაკვეცამ კი დედოფალს ფერხთა კერძოთ ილაპარაკა, იტიტინა, იწრიბინა, იქიქინა და ბოლოს იმასაც წათვლია.

შუალამისას ყველა სათამაშოებს გამოვლიძათ, რადგან ისინი თითონ თავის თავათ მხოლოთ მაშინ თამაშობენ, როდესაც სახლში ბნელა, ყველას ძინავს...

— ყიცილიყო! — წამოიძახა სქელი ქალღლის მამალმა. შემდეგ დოღმა დაჰკრა გაღვიძებისა. იხემა

ისინი დაიწყო, ბუკმა დაჰყვია, და თეთრი თიხის თუთიყუშმა, კისერ-გადადგებით და გვემული ხმით დაიწყო: „რაცა გნებათ ყველას დაეჭვინებ, მე ნაპრაკუროვ, ყველას ჩამოვალრჩობ!.. საბუთები მერე იყოს, შემდეგ, ხელში კი მიჭრავს, მაგრამ ჯერ საქმი და მერე საბუთი, საფუძველი...

— აჰ, ოჰ, კარგი ი ცხონებული მამიშენის ხსოვნას! ვინ უნდა ჩამოვალრჩო?...

— ეინაო? — ეინა და აფრიკელები, მამიშენები, ჩხერიმელები, კოლო-ბუხები, რადგან კრემენალისტიკა; სარუდენცია, კონკუბინაცია, ლოლიკა, არითმეტიკა, გეოგრაფია და ყოველი ცია და ფია ამართლებს ასეთ ჩემ გადაწყვეტილებას...

კატამა თქვა: მოდით ვიმღეროთ, მესამე დღეა არავის გაუბერივარ და სტომაქი გამიმტერიანდა, მადა მაქვს მჭევრმეტყველობისა, ავლაბრელი შულცდელიმე, ვარ მცოდნე ღუმისა, ბაზად-ძენისა, ბარბალოს მთის წვეროზე ბოდვისა თავ-ლაფ-მსროლი მძიბებელი თავადობისა კი არა, ველარც თუ აზონის ძეობისა... ვიმღეროთ — მიაუ, მიაუ, მიაუუუ!

— ახ, რა კარგი ფიქრია! — წაიწრიბინა მატრაკვეცამ და ისე დარჩა ყირამაღლა-რჭობილი, როგორც იყო დედოფალს მკვებრთა კერძათ.

— აბა, ვიმღეროთ! მე რო დიდ დარბაზში გახლდით, იქ ყველა მღეროდა და ყველაზე უკეთესათ მე. გასაოცარი მომღერალი გახლავართ და შევნიერი ლექსიც დავწერე ვარსკვლავთ-მცნებაზე, რომელსაც არ დაივიწყებს ისტორიაო და მიწერილებული ხმით გააბა:

„ცოცხალია მატრაკვეცა, ცოცხალიიი,
„ჩვენს მატრაკვეცას სად-ვინ ჰყავს ცალიი?“
— კამაც-კამაც“. კნიაზო-ბიაზო. თალუთუნარამ!
ინებეთ ვაქსი-წაქსი, აი საქეთელი მიყიდნია...

— არა, ყმაწვილებო, ის არ ჯობია, ვიდანსაოთ, დაიძახა ბზრიალამ, პროწილს და ბზრიალს რა დედღრება?!

— ვიდანსაოთ, წარმოთქვა ტიკინმა, ჩემი კავალერი იქნება ექიმ-ბაში, — არაქეს-თავში, თუთუ-უშუში იდანსავეებს ნაპროკროვთან, კატა მამალთან, ბუკი დოლთან, ხის სოლდათი იხეთან და სხვები ყველა აცუნცრუკდენ!..

— დანსაობას გაუმარჯოროს! — დაიძახა მატრაკვეცამ, თავ-თავის ალაგას დადევით, ჩქარა, ქალბატო-

ნებო და ბატონებო! მალე მეთქი ტელეგრაფით, ტელეფონით! მე თქვენ გასწავლით გასაშტერებელ დანსაობას. ჩემი თამაშობა საშინლათ მოეწონა ჩვენს მარშალს პრისტაის პაპოჩნიკის სამხარეულოში. მაგრამ გამიგონეთ, საქმე ის არის, რომ ამ თამაშობაში ყველამ თავის თავზე უფრო მალლა უნდა იხტუნოთ, აი მიყურეთ:

„ასე ერთი, ასე ორი,
სიბრიყვე და სისულელე!
ახლტი ბიჭო, არ გჰყავს სწორი,
ნახეთ სადმე ერთი ორი“.

და მატრაკეცა ისე გაიტაცა, ისე გაიტაცა ხტუნაობამ, რომ ჯერ ბზრიალა წააქცია, მერე იხეი თუთუყუში, ცხენი, ბუკი და ტიკინი..

— გააჩრეთ, გააჩრეთ, თავ-გასული ბრიყვი! ყვიროდა ყველა, ეისაც სიბრიყვე სიმამაცეთ არ მიანდა. ეგ ისე გაიტაცა თავ-გასულაობამ, რომ თავისთავი აღარ ახსოვს. მაგასთან თამაშობა სირცხვილია, სირცხვილი, ადამიანებო, მართლა რომ სირცხვილი!

— დურაკ მატრაკეცა! დაიძახა თუთუყუშმა.

— როგორ?! დაიყვინა მატრაკეცამ, თქვენ რა ნება გაქვთ შეურაცყოფით! თქვენ ჩემს ღირსებას ენებით, ჩემ პატივს, ჩემს თავს, ჩემს ტენის, მოღუწეობას, მოქალაქობას, ეროვნებას, ენაობას, ბინაობას, ჩემს სქესობას, მეღექსობას, ხმოსნობას, ობოლ-პატრონობას, ბროშურას და კონფერსიას, თვით ჩემი მატრაკეცობას და სხვას-და-სხვას! თქვენ დუღელში უნდა გამობრძანდეთ ამ მიწუტში, ამ წუთში, სეკუნდში, თვალის დახამხამებამ, აქვე ალაგას, ამ ბალაგას! უნდა ეიბრძალოთ პირდაპირ, ზედი-ზედ, გულდა-გულ, თვალ-და-თვალ, დამბაჩებით, ხმლით, ხანჯლით, ბებუთით, საბუთით, დანით, შუბით, სატყერით, ფიწლით, ორთითით, ანდლით, მარკილით, შხაბურით, ზარბაზნით,—გაჩრდით, გამაჯრდით!

— შენ ეი, ღრაფინკა! დაიძახა ხის სალდათმა და მატრაკეცას კისერში ხელი ჩააგოლა.

— მართალია მთერალი არა ხარ, მაგრამ მაინც დიდი ხანია გამოწელება გჭირია. მატრაკეცამ გაიწია, მაგრამ სოლდათი ხელ ღონიერი იყო, ისე მაგრათ მოჰკიდა ხელი, რომ მატრაკეცას სულ ხიწეები დაძძერა

— ვაი, ვაი, დაიცა კაცო! შეჰქენა წირიბინი მატრაკეცამ.

— ბატონო მხედარო, თქვენო კეთილ მალალ-ალმატ-შობილებავ, მე არაფერი, მე ისე რალა! მე ძლიერ შუბიდი ვინმე ვარ, მე პატივს ვცემ ერთნაირათ სისულელესაც, ჭკუა გონებასაც. მე ვადიდებ პუბლიცისტობას და დიამბეგობას, ეგზეკუციას და

მოქალაქობას, დეგრდომილთა შემწეობას და დედოფლის შაზაშათ მოკრეფილ ქრთამსა, ერთი სიტყვით ეისაც, სადაც, რასაც ვნებავთ, მეტადვე კენჭიანობას და უაზრობას..

— კოლოფში ჩასვით, კოლოფში! მაგის ბინა ცარიელი კოლოფი! შეჰყვინა ყველამ, ეისაც გონება შეჩრენოდა.

— იქ, იქ იჯდეს გათენებამდს! ცალკე, ცალკე!.. მართლაც წაიყვანეს ჩენი მატრაკეცა, ჩასვეს კოლოფში და თავი დახურეს. იქ აბრაზუნა და ბოლოს სადღაც ჭიჭიტანა იზოგა, გამოჰყუთავი და დაიძახა:

— თქვენ ეი, აი, აქ გახლავართ მამაცი მატრაკეცა! თქვენ მანდ ყველანი ხართ ჩემი ფეხები, ბაიყუშები, წინდა პატივები, ვოჭა-ყროჭი, ხოლგრა-კლექი, აბლაბუდა, მტყერი, გულა-ფშუტა, ქოში, ფლოსტი, კრიკინა, აწლი, მახონი, შაატა, მაჯლაჯუნა, ყვიციანი, ცრგანი, კრეჭა, ჭი, ჭრიანტელი, ჭიჭინა, კალაა, ბათილა, ცრუ-ვექსელი.. — ჰყვიროდა კოლოფში განმარტოებული მატრაკეცა, მაგრამ ყველა თამაშობდა და ყურს აღარავინ უღებდა. ასე იწრიბინა მატრაკეცამ განთიადამდს.

ღალაზე რომ ბეწვები მივიდენ სათამაშობათან, ყველა სათამაშო თავის ალაგას ნახეს და მატრაკეცა კი ტიკინის ფეხრთა კერძათ ყირამალა ერქო იატაკში, ვითომ არაფერი მომხდარიყოს.

— შეხედეთ, დაიძახა ერთმა გოგომ, ეს ხომ ჩენი გუშინდელი მატრაკეცაა, აქ შემომძვროლა, ქა! ერთი ჰკითხოს კაცმა: აქ რა შენი ალაგია! აი შე-შე! დაიკარგე აქედანაო, დაიძახა გოგონამ და ფანჯარაში გადააგდო კეარის ხიწვი მატრაკეცა.

— აი, ახლა მე ვარ მსხვერპლი უსამართლობისა და ჩემი ნებით ეტოვებ ამ ალაგს, რადგან არ ვემორჩილები მხოლოდ ჭკუას სიმძლავრეს ჩქარა, მალო, სწრაფი, უდები! ოჰ, რა მყისად მიჰქრის ჩემი მერანი! და წიკბ — მატრაკეცა დაეცა ბაზრის მიედანზე..

მ. მე-შენ-გეელი,

(შედეგი იქნება)



ს ა რ კ ე .

ამბავი—ჯორჯ ტეფისა

ინგლისურადან.



ამბონაში ერთი სოფელი იყო, სადაც სარკრა იყო, არაინ იცოდა, და არც არავის ენახა, ერთხელ, ამ სოფლის ერთი ყმაწვილი, მიდიოდა სამუშაოთ და იპოვა გზაზე პატარა ჯიბის სარკე, რომელიც ალბათ, ვისმე უტყობელ კაცს დაჰკარგოდა. იაპონელმა აიღო ხელში სარკე და გაშტერებით დაუწყო ყურება, მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც სარკეში დაინახა ვიღაც შეგვრემანი, შეე-თმა და წვრილ-თვალემა შემკრთალი კაცის სახე. ასეთი სახის ნახვით გოაცებული, დაჯდა და გულმოდგინეთ განაგრძო სარკეში ყურება. მერე გაკვირებით თქვა:—„სწორეთ ეს მამიჩემის სახეა, მაგრამ ის ხომ დიდი ხანია მკვდარია და საიდან გამოჩნდაო? ალბათ რაღაც ცუდი ამბავია ჩემ თავს! ეს რაღაცა ნიშნავს!.. შემდეგ სიფრთხილით შენვია ხელსახოცში ნაპოვნი ძვირფასი ნივთი, ჩაიდვა ჯიბეში და გაუღდა შინისკენ. სახლში რომ მივიდა, ჩაღვა ისეთ კოლოფში, რომელსაც იშვიათათ ჰკიდებდენ ხელს; ცოლს კი ამაზე არაფერი გაუშხილა; ამდენი ხნის მკვდარი მამის სახის ნახვა უთუოთ რამე სასწაულებათაო!—ამბობდა ის თავისთვის. ქალები საზოგადოთ მეტათ ყბედები არიან, გაიტანებენ ამ ამბავს მეზობლებში და არ ივარგებსო.

მთელი სამი-ოთხი დღე საშინლათ აშფოთებულ იყო. სულ ამ მკვდარი მამის სურათზე ფიქრობდა, ხშირათ ტოვებდა სამუშაოს და მოდიოდა სახლში ამ ძვირფასი ნივთის სანახავათ. ცოლს უკვირდა ქმრის ასე ხშირ-ხშირათ სახლში დაბრუნება, და ჰკითხა ერთხელ: „რატო ასე ხშირ-ხშირათ ბრუნდები სახლშიო?“ — შენი ნახვა მენატრება და მოედღეარო—უთხრა ქმარმა.

პირველათ დარწმუნდა ქმრის სიტყვაზე, მაგრამ როდესაც ყოველ დღე თან-და-თან უფრო მოწყენილს და დაფიქრებულს ხედავდა, ქალს ეჭვი შეუვიდა: ჩემ ქმარს ალბათ რაღაც საიდუმლო აქვს და მიმაღავსო. ამ მიზეზით ქმრის საქციელს უფრო ყურადღება მიაქცია და შეამჩნია, რომ:—არასოდეს ეს არ წავიდოდა შინიდან, რომ, პატარა ოთახში არ შესულიყო. ცოლი წუხდა: ქმარი რაღაცას მიმაღავსო.

ერთხელ წავიდა თუ არა ქმარი, იმწამსვე შევიდა პატარა ოთახში და დაუწყო ძებნა; მარა ვერაფერი ნახა ისეთი, რაც მისგან დასაფარავი ყოფილიყო. ერთ დღეს, როდესაც ქმარი იმ პატარა ოთახში

იჯდა და ხელში კოლოფი ეჭირა, უეცრივ შელოცოლმა კარები: ქმარი უეცრათ, მაგრამ ისე აჩენა, ვითომ კოლოფი გასაწმენდათ ჰქროდეს ხელში. შემკვირს ისე დაღვა ის თავის ადგილზე. ცოლი ისე მოეკა, ვითომ არც კი შეენიშნოს ეს. როგორც კი ქმარი სახლიდან წავიდა, იმ წამსვე შევიდა ოთახში, აიღო კოლოფი და გამოიღო სარკე. სიფრთხილით დაიჭირა ხელში და გაშტერებით დააქვერდა, მარა რა ნახა?—მისდა გასაოცებლათ ქალის სურათი დაინახა.

—მეგონა ჩემ ქმარს ვუყვარდი და ჩემი ერთგული იყო. ამას კი რას ეხედავ?!—წამოძახა მან.

მისი მწუხარება მეტათ მწუხავე იყო. ის ჩაიკეცა იქავე, უცნაური სურათი მუხლზე დაიდვა და ქვითინით ამბობდა:—„ახლა მივხვდი, რისთვისაც ასე უხშირა ჩემმა ქმარმა სახლში სიარულს. მას უნდოდა ამ ქალისათვის ეცქირა მუდამ“. გაჯავრებულმა აიღო სარკე ხელში და შეხედა: ისევე ის სახე გამოჩნდა. ქალი გოაცდა. —„როგორ მოსწონს ჩემ ქმარს ასეთი ქალი, ასეთი ეშმაკური სახეო?—ფიქრობდა თავისთვის. —პირველ დანახავზედვე შევატყე, რომ მახინჯი იყო, მაგრამ ახლა სულ საძაგლობა რამ არისო!“

ქალი დაჯავრიანდა ამის გამო და ოჯახზე გული აიყარა. მთელი დღე იჯდა ფეხმორთხმული და ტიროდა.

როცა ქმარი მობრუნდა სახლში და საქმელი მომზადებული არ დახვდა, ძლიერ გაუკვირდა, მაგრამ მალე მიუხედა მიზეზსაც.

—ამას ჰქვია სიყვარული? ეს არის შენი ერთგულება? ერთი წლის შემართულიც კი არ გყვეარ და ახლავე სხვაზე გამცვალე!—ქვითინებდა ცოლი.

—„რას ამბობ? არაფერი არ მესმის“—მიუგო ქმარმა.

—არ გესმის? როგორ თუ არ გესმის?—როგორ ბედავ, რომ ვიღაც ქალის სურათს ინახავ ჩემ სახლში! აი, ისიც აქა მაქვს, წაიღე და შეინახე! კაპასობით უთხრა ცოლმა, და მოჰყვა უარესათ ტირილს.

—რაქნა! მიუგო ქმარმა.—ვერა გამიგია, შენი ლაპარაკიდან.

—შენ თუ არ გესმის, არ ვიცი; მე კი, კარგათავე მესმის და კადევაც ავიხსნი ამწუთშივე:—შენ მოგწონს ეს საძაგელი მახინჯი ქალი, შენ ცოლზე უფრო ლამაზი რომ მაინც იყოს, კიდევ ჰო! მარა ეს უშნო, ეს ჯოჯოხეთი, კაცის მკვლელს რომ მიუგავს ცხვირ-პირი?!

—ქალო, რას ამბობ? ხომ არ გაგიყვებულხარ? ჰკითხა ქმარმა.—ის სურათი მკვდარი მამიჩემის სახეისე ჰგავს, თითქო ცოცხალი იყოსო. ამას წინათ ვიპოვე გზაზე და შევიინახე, რომ არ დამკარგოდა. ამ

სიტყვებმა უარესათ გააბრაზეს ცოლი.

—შენ, იქნება, სულელი გგონივარ? მარა არც იმდენათ სულელი ვარ, რომ ქალისა და კაცის სახე ვერ გავარჩიო.

ამ ნაირათ შეყვენ ლაპარაკს და ატყდა ერთი აურ-ზაური.

კარები ღია იყო. მათი ხმაურობა მოესმა ქუჩაში მიმავალ ლედელს, რომელმაც შემოიხებია მათთან აშბის გასაგებათ.

— შეილო ჩემო! — უთხრა მან. რა გადაეგბს? რა ხმაურობაა?

— მამაო! უთხრა ქმარმა, — ჩემი ცოლი გაგიჟდა.

— „ქალები ავტები არიან, შეილო“, — ზოგი უარესიცაა; მაგრამ უნდა მოითმინოთ. ეს ქალი ხომ შენი არჩეულია? და ახლა ბეგრც რომ იჯაერო, რას გააკეთებ? — უთხრა ლედელმა.

— კი! მარა რასაც ეს ამბობს, ტყუილია!

— სრულებით არ არის ტყუილი — წამოიძახა ცოლმა - ჩემ ქმარს ვილაც ქალის სურათი აქვს, მე ვეინახე, დამალული ჰქონდა.

— გეცივებით, მამაო, რომ ქალის სურათი არ მქონდეს ის ჩემი გადაცვალებული მამის სურათია.

— დამშვიდდით, შეილებო! — უთხრა ლედელმა, — და მიჩვენეთ აქ ის სურათები.

— აგერ არის. ერთია, მეტი კი არა, მაგრამ ეს ერთიც კმარა. ლედელმა აიღო სარკე და ჩაიხედა შიგ, დიდი გაკვირებით. დაინახა თუ არა შიგ სახე, მაშინვე თაყვანი სცა და მშვილობიანი ხმით უთხრა მათ. —

— შეილებო! გაასწორეთ თქვენს შორის ჩამოვარდნილი უკმაყოფილება და დამშვიდდით.

ორივე შემედარხართ. ეს სურათი არის ერთი წმინდანი მღვდლისა. მიკვირს, როგორ შეცდით ასე, რომ ვერ იცანით ასეთი ღვთის მეტყველი სახე. ეს უნდა წაეიღო მე და დიდებით დავასვენო ჩემნი ეკლესიის სხვა წმინდანებთან ერთათ.

ამ სიტყვებით ლედელმა დალოცა ცოლ-ქმარი, და გამოვიდა სახლიდან თავის წმინდანით; რომელმაც კინაღამ ერთი ალიაქოთი ატეხა ცოლ-ქმარს შორის.

ინგლისელი ქალი.

ჰუდაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

განცხადებანი

საპომერსიო პურსები

ქალებისა და ვაჭებისათვის

(წელი მეთუთსმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჭებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავებას შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1896—97 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო ანთიმეტია, 3) ბუჯგალტერია მარტივი, ორკეციც და საბანკო, 4) ანთიმეტია საანგარიშო იტალიაში, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამაშო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოანი (исправление дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდან. ახლათ შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდან. ყოველ დღე დილის 10 საათიდან თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 სათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგოიევისა და ნაგონის ქუჩაზე, აფთაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოთ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზე.

ენიც ქალაქს გარეშე ცხოვრებს, შეუძლია წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელანსს, ტფილიში.

(12—5)

ვ ა ნ ც ხ ა ლ მ ბ ა

წერა-კითხვის საზოგადოების მდიანისაში იყიდება შემდეგი სახლი წიგნები:

ოქროს მოყვარულები ფსი	15 კ.
მოსავლის მცველნი, სურათებით ი. გოგებაშვილისა	20 კ.
მთიულეთი 1804 წ. ა. ფრონელიისა	70 კ.

განცხადება

თვილისის სათავადაზნაურო სკოლისა.

1) მდგომარე წლის ენკენისთვისათვის თვილისის სათავადაზნაურო სასწავლებელში არის სულ ორმოცდა ხუთი ვაკანსია (45): პირველ განყოფილებაში — 40 (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის) და მეორე განყოფილებაში — 5 (8 და 9 წლ. ყმაწვე.); დანარჩენ განყოფილებებში და პრაკტიკულ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

2) 45 ვაკანსიიდან 42 არას დანიშნული გარედან მოსიარულებისათვის და სამი არის საზოგადოების ნახევარ ხარჯზე.

3) ვინც საზოგადოების ნახევარ ხარჯზე იქნება მიღებული უნდა შემოიტანოს წელიწადში ათი თუმანი-ნახევარი შემოსვლისთანავე და ნახევარი იანვარში.

გარედან მოსიარულეს გარდახდება წელიწადში სწავლის ფასი თორმეტი მანეთი: ექვსი ენკენისთვის და ექვსი იანვარში.

4) ვისაც სურს მიღებულ იქმნას საზოგადოების ნახევარ ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი დოკუმენტები: ა) წლოვანებას (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მახარის თავადაზნაურობის წინამძღოლასაგან, გ) მოწმობა თვილისის სათავადაზნაურ ბანკადან, რომ იგი ირიცხება ხსენებული ბანკის დამუფუნებელთა შორის, დ) ყვეუილას აცრის მოწმობა.

5) ვისაც გარედან მოსიარულეთ სურს შემოსვლა, მისთვის საჭიროა იგივე დოკუმენტები, გარდა დამფუძნებლობისა.

6) უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიებს რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველნი მიშეხუბულ იქმნებიან წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი რუმელონიკ, წარმოდგენენ ყველა საჭირო დოკუმენტებს და ამასთანავე ეგზავნისაც დიკერენ წლოვანების შესაფერ კლასისათვის.

7) ვინაიდან პანსიონში შემომსვლელთათვის მცირეა ვაკანსიების რიცხვი და მსურველი კი ბევრია, სკოლის გამგე კომიტეტი იშუღებული იქნება დაითხოვოს ის პანსიონებები, რომლებსეც წინა წლის ფულია დატყენილი, იმისთვის რომ ადგილი დაუცალოს ახლათ შემომსვლელებს. ამიტომ სკოლის მთავრობა თხოვს მშობლებს, რომლებსეც სწავლად ახა აქვთ შემოტანილი სწავლა-აღზრდის ფასი, რომ უთუთ შემოიტანონ პირველის ენკენისთვისათვის, რაც ახის მათსე დატყენილი, თარემ მათი შვილები უსაუთო იქნებიან დაითხოვნილი პანსიონიდან.

8) შესაძლებელია სექტემბერში, მოწაფეების ხელ მეორე გამოცდას შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულ საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას ან ნახევარ ხარჯზე. ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი — ათი შემოსვლისთანავე და ათი იანვარში.

9) თხოვნა უნდა შემოგადეს სექტემბრის პირველ რიცხვამდის. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგი ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянской Школой, на Лабораторной ул. въ д. Гургинбегова.

10) სექტემბრის, 2, 3 და 4 რიცხვებში მოხდება მისაღები ეგზამენები და ხელ მეორე გამოცდა ზოგიერთ მოწაფეებსა. ხუთ სექტემბერს დაიწყება სწავლა.

დათხოვნილ იქმნებიან აგრეთვე ის პანსიონერებიც, რომელნიც სკოლაში მდებლათანავე არ წარუბადგენენ მოამაულ 18 ⁶/₉₇ სასწავლო წლის ფულის ნახევარს.

(3—2)